

საქართველოს კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლები



№ 8

2006



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია Georgian National Academy of Sciences

# სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი Centre for Preservation and Studies of Antiquities

# კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების საერთაშორისო ფონდი Cultural Anthropology Development International Foundation

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№8

# Monuments of Georgian Cultural Heritage

№8

თბილისი  
Tbilisi  
2006

უაკ (UDC) 902/904 (479.22  
8295

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2004-2005 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დოკუმენტური ანგარიშების კრებულს.

კრებულში ქვეყნდება 2004-2005 წლებში აი-ილიას მეგალითური ციხის მიმდებარედ გათხრილი აქემენიდური ხანის კომპლექსის გათხრების, 2005 წლის გაზაფხულზე, ივნის-აგვისტოში და დეკემბერში საფარ-ზარაბას სამაროვნის ტერიტორიაზე დაზვევითი ხასიათის სამუშაოების და მცირე გათხრების დოკუმენტური ანგარიშები.

საველე სამუშოებს კომპანია, BP-ის დაკვეთით, აწარმოებდა ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ, ნარიმანიშვილი).

მთ. რედაქტორი  
გოდერძი ნარიმანიშვილი

Editor-in-chief  
Goderdzi Narimanishvili

სარედაქციო საბჭო:  
ამირანაშვილი ჯუანშერი  
კვაჭაძე მარინე  
მელიქიშვილი ლია  
მინდიაშვილი გიორგი  
შანშაშვილი ნინო

Editorial board  
Amiranashvili Juansher  
Kvatchadze Marina  
Melikishvili Lia  
Mindiashvili Giorgi  
Shanshashvili Nino

ISBN 99928-0-794-6  
ISBN 99928-0-795-4

- © ა(ა)იპ სიმველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
Centre for Preservation and Studies of Antiquities
- © არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
Centre for Archaeological Studies

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
Centre for Archaeological Studies

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ

2005 წელს

ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების

ანგარიშები

## **სარჩევი:**

### **ნაწილი I**

ნარიმანიშვილი გ., ამირანაშვილი ჯ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ.,  
შანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ.

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წელს	
ჩატარებული საელე სამუშაოების მოკლე ანგარიში	5
§ 1. არქეოლოგიური ძეგლების მდებარეობა და აღწერა	5
§ 2. 25-28 მარტს ჩატარებული სამუშაოები	25
§ 3. აპრილ-მაისში ჩატარებული სამუშაოები	29
§ 4. ივნისში ჩატარებული სამუშაოები	32
§ 5. 7 ივლისიდან 12 აგვისტომდე ჩატარებული სამუშაოები	42
§ 8. 12 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ჩატარებული სამუშაოები	54
§ 9. 3 – 16 დეკემბერს ჩატარებული სამუშაოები	61
სურათების აღწერილობა	68
სურათები	70

### **ნაწილი II**

ნარიმანიშვილი გ.

აი-ილიას ნამოსახლარზე 2004-2005 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში	138
--	-----

ნარიმანიშვილი გ.

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის აპრილ-მაისში ჩატარებული საველე სამუშაოების წინასწარული ანგარიში	162
---	-----

ნარიმანიშვილი გ.

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 2 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ჩატარებული საველე სამუშაოების წინასწარული ანგარიში	174
--	-----

ნარიმანიშვილი გ.

თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 3-16 დეკემბერს ჩატარებული საველე სამუშაოების წინასწარული ანგარიში	201
---	-----

## შესავალი

საფარ-ხარაბას სამაროვანზე (KP-120) არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 2003 წელს (სურ. 1, 4); 2003 წელს გაითხარა 29 სამარხი (№№ 1-29), 2004 წელს - ორი სამარხი (№№ 30-31), 2005 წელს - 81 სამარხი (№№ 32-122). გასათხრელი დარჩა სამარხები №№ 46, 57, 58, 60, 102, 112-115, ასევე ნავთობის და გაზის მიღებს შორის KP-119+350-დან KP-120+600-მდე მოქცეული სამარხები (დაუნომრავია) (სურ. 2, 5, 7).

2005 წელს საველე სამუშაოები რამდენიმე ეტაპად წარიმართა. მარტში ექსპედიციამ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი ჩაატარა KP-120-ზე კორიდორის გაფართოების დროს გამოვლენილი ქვაყრილები მოინიშნა და მათი კოორდინატები დატანილ იქნა 2003 წელს შედგენილ გენგეგმაზე.

ძირითადი საველე სამუშაოები მიმდინარეობდა ივნის-სექტემბერში და დეკემბერში.

### არქეოლოგიური ძეგლების მდებარეობა და აღწერა.

საფარ-ხარაბას სამაროვანი მდებარეობს ქვემო ქართლში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, წალკის რაიონში სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით 100 მ-ის დაშორებით. რელიეფი, რომელზეც განლაგებულია სამაროვანი, ძირითადად სწორ მინდორს წარმოადგენს, რომელიც ოდნავაა დაფერდებული სამხრეთისაკენ (დაახლ.  $10^{\circ}$ -ით) (სურ. 1, 4, 5, 7).

საფარ-ხარაბას სამაროვანი მდებარეობს ზღვის დონიდან 1579-1590 მ-ის სიმაღლეზე.

თრიალეთი, სადაც გაითხარა საფარ-ხარაბას სამაროვანი, მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

### გარემოს დახასიათება

საქართველო, რომლის ტერიტორიაც მოქცეულია ევროპასა და აზიის სასაზღვრო არეალში, მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, შავი და კასპიის ზღვებს შორის. მას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა. ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთიან ფერდობებს მიუყვება. სამხრეთული ნაწილი, რომელიც დასავლეთით შავი ზღვის ნაპირზე იწყება, კვეთს ჯერ ჭანეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთს და ჭოროხის ქვემო წელს, შემდეგ მიუყვება შავშეთის ქედს, გადაკვეთს არსიანის ქედს, ადის ერუშეთის მაღლობზე და მდ. მტკვრის გადაკვეთის შემდეგ თურქეთის საზღვართან მთავრდება.

საქართველოს დღევანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა პალეოგენური ხანის შემდეგ პერიოდში კერძოდ, კაინოზოური ერის მეორე ნახევრის განმავლობაში

ჩამოყალიბდა. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი აგებულია მეზოზოური და კაინოზოური ფორმაციებით. ამ ადგილზე ნეოგენში მომხდარმა ძლიერმა ტექტონიკურმა ცვლილებებმა, გულკანების ამოფრქვევამ, მიწისძვრებმა წარმოქმნა კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთათა სისტემები. ლავების ამოღვრამ და მდინარეების ეროზიულმა ზემოქმედებამ დიდი გავლენა იქნია ხეობების ჩამოყალიბების პროცესზე. ჰავა, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო ნეოგენურ ხანაში მკვეთრად განსხვავებულია შემდგომი, მეოთხეული პეიროდისაგან. ამ დროს აქ იზრდებოდა სითბოსმოყვარე ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე - პალმები, მაგნოლიები, კამელიები; ცხოვრობდნენ ასევე სითბოსმოყვარული ცხოველები, ჰიპარიონები, ჟირაფები, ანტილოპები და სხვა. მეოთხეულ პერიოდში ფაქტობრივად დასრულდა საქართველოში და მთელ კავკასიაში ფიზიკურ-გეოლოგიური ცვლილებები, მისი დალანდშაფტების პროცესები, თუმცა, პერიოდულად მაინც ხდებოდა ტექტონიკური პროცესების გამოღვიძება. ასევე ცვლილებები განიცადა კლიმატურმა პირობებმაც; ჰავის ცვლილებამ მკვეთრად შეცვალა ფლორა და ფაუნა.

საქართველო თავისი ტერიტორიის მრავალფეროვნებით, მისი ლანდშაფტის თავისებურებებით, ბუნებრივი და კლიმატური პირობების და სხვ. მიხედვით რამდენიმე რეგიონად იყოფა. ერთ-ერთ ასეთ რეგიონს სამხრეთ საქართველო, ქვემო ქართლი წარმოადგენს.

### მდებარეობა საქართველოში

ქვემო ქართლი სამხრეთ საქართველოში მდებარეობს. ის მოიცავს ალგეთის და ქცია-მაშავერა-ბერდუქის აუზებს, მდინარე მტკვრის ხეობას წითელ ხიდამდე. იგი შემოსაზღვრულია თრიალეთის, ჯავახეთის და ლოქის ქედებით. მისი დასავლეთი საზღვარი თრიალეთის ქედზე ბაკურიანის მონაკვეთიდან სამხრეთით გაუყვება; ჩრდილოეთ საზღვარი მთლიანად თრიალეთის ქედზე გადის; სამხრეთით დიოქის ქედი გამოყოფს მას სომხეთისაგან, ხოლო აღმოსავლეთით სამგორისა და დავითგარეჯის მთაგრეხილები. ქვემო ქართლი თავისი ბუნებრივი პირობებით მეტად მრავალფეროვანია, რაც მისი გეოლოგიური აგებულებითაა განპირობებული. ბუნებრივი, ლანდშაფტური თუ კლიმატური პირობების მიხედვით ის რამდენიმე რეგიონად იყოფა. ერთ-ერთ ასეთ რეგიონს წარმოადგენს თრიალეთი, რომელიც მოიცავს მდინარე ქციის ზემო წელსა და მდინარე შავწყაროსწყლის ხეობებს. რეგიონს ჩრდილოეთიდან ამავე სახელწოდების ქედი საზღვრავს; დასავლეთიდან ნარიანის ველი, რომელიც ტაბაწყურისა და ფარავნის ტბებამდე ვრცელდება; სამხრეთით თრიალეთი მდ. ჭოჭიანისა და შავწყალას წყალგამყოფამდე აღწევს, ხოლო აღმოსავლეთით მდ. კლდეკარიდან მდ. ჭოჭიანისა და მდ. ქციას შეერთებამდე. ადმინისტრაციულად თრიალეთი მთლიანად მოიცავს წალკის ტერიტორიასა და დმანისის, ბორჯომის და ნინოწმინდის რაიონების ნაწილს.

## რელიეფი

რეგიონის თანამედროვე ფორმები, მისი რელიეფი, შედგება ტექტონიკურ-ვულკანური, ეროზიული, აკუმულაციური წარმონაქმნებისაგან, რომლებიც ხანგრძლივი გეოლოგიური დროის მანძილზე ქმნის მთათა სისტემებს, ვაკე-დაბლობებს, ზეგნებს, პლატოებს, ხეობებს.

თრიალეთი მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის სამხრეთული ზონის და ართვინ-ბოლნისის ბელტის ჯავახეთის ზონის ფარგლებში. ეს რეგიონი ვულკანოგენური რელიეფითაა წარმოდგენილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ლავური პლატოები, ლავური ღვარები და ცენტრალური ვულკანები. თრიალეთის ამგები უძველესი ქანებიდან კი უნდა აღინიშნოს იურულამდელი კრისტალური ფიქლები, გნეისები და გრანილოიდები, აგრეთვე, ზედა პალეოზოურის ვულკანოგენურ-კონტინენტური წარმონაქმნები. ისინი გადაფარულია ნეოგენ-მეოთხეული პერიოდის დროს ამოღვრილი ვულკანური ქანებით: ბაზალტებით, ანდეზიტ-ბაზალტებით, ანდეზიტებით, ანდეზიტ-დაციდებით, ტუფბრექჩიებით, რომლებიც ძირითადად დოლერიტების სახითაა წარმოდგენილი. ასევე ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული (ზედაპლიო-ცენური) ასაკის ტბიური ქვიშაქვებიც; კონტინენტური ნალექები თიხა-თიხნარები, რიყნალები, აღნიშნული ტერიტორიის რელიეფისათვის მთაგორიან შემოგარენთან, მაღლივ ვაკეებთან ერთად, დამახასიათებელია მაღალ დონეზე განლაგებული პლატოებიც. ესენია: თრიალეთის, ბედენის, გომარეთისა და დმანისის პლატოები.

## სიმაღლე ზღვის დონიდან

აღნიშნული რეგიონის ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლეები, მისი რთული ლანდშაფტური რელიეფიდან გამომდინარე, ცვალებადია. იგი მერყეობს ზღვის დონიდან 1000 მ-დან 1800 მ-მდე.

## უახლოესი მდინარე, ტბა, წყალსაცავი

მდინარე ხრამი და მისი შენაკადები, ხელოვნური წყალსაცავები და პატარა ტბები – ეს არის ის პიდროგრაფიული ქსელი, რომლითაც თრიალეთი გამოირჩევა სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან (სურ. 1). მდ. ქცია ამ რეგიონში ყველაზე დიდი და წყალუხვია (სიგრძე 220 კმ). ის სათავეს იღებს ცხრაწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე, თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობის გასწვრივ მიედინება და ბეშთაშენის ტაფობზე ხელოვნურად აგებულ წყალსაცავში (რომელიც 1510 მ-ზე მდებარეობს და რომელიც ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში) ჩაედინება. ის ხასიათდება მრავალრიცხოვანი შენაკადებით, რომელთა შორის გამოირჩევა: მდ. ჭოჭიანი (ჯავახეთის

ქედიდან ჩამოედინება), ნარდევანი, გუმბათი, ყარაბულახი და სხვა. რაც შეეხება მდინარეებს - ბეშთაშენისწყალი და ქორსუ, ისინი უშუალოდ ერთვის წალკის წყალსაცავს. ამ რეგიონისთვის ასევე დამახასიათებელია სხვადასხვა სიღილის ტბები, ესენია: ბარეთი, უზუნგელი, ხადიკი, შვიდი ტბა, ყარაბულახი, ყიზილაჯდო და სხვა.

### ნიადაგის გეოლოგიური მდგომარეობა

ამ რეგიონის ვრცელი ნაწილი უჭირავს მთის კარბონატულ შავმიწა ნიადაგებს, რომელსაც ზემოთ ცვლის გამოტუტვილი მთის შავმიწა და მდელოს შავმიწა ნიადაგები. მათთვის დამახასიათებელია ძლიერი კარბონატულობა. თრიალეთის დასავლეთ და ჩრდილოეთ პერიფერიებზე სიმაღლებრივი სარტყლების მიხედვით გავრცელებულია, ჯერ ვულკანური მთიანეთის შავმიწისებრი, შემდეგ კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთა-მდელოს ნიადაგები, სულ უფრო მაღალ ჰიდრომეტრულ საფეხურებზე, კლდეებსა და ქვაყრილებს შორის, ლაქებადაა მცირე სისქის კორდიან-ტორფიანი მთა-მდელოს ნიადაგები. ამ რეგიონში ასევე გვხვდება ყავისფერი ნატყევარი და ტყის ყომრალი ნიადაგებიც. თრიალეთში განამარხებული ნიადაგები, რომლებიც ლავურ განვენებაში ჩაშრევებულ ფხვიერ მასალაში გვხვდება, გვიჩვენებს წარსულში უფრო ჰუმიტური პირობების არსებობას.

### კლიმატი

კავკასიონის მთიანი სისტემა ერთგვარ კლიმატურ კედელს წარმოადგენს თბილ და ცივ გეოგრაფიულ სარტყლებს შორის. საქართველოს კლიმატის უმთავრეს თავისებურებებს სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: მზის რადიაცია, ატმოსფეროს ცირკულაცია და დედამიწის ზედაპირის ხასიათი.

საკმაოდ მაღალი მთებით გარშემორტყმულსა და თავადაც მაღლა მდებარე ამ მხარეში, გარედან შემოჭრილი ჰაერის ნაკადების ეფექტი ადგილობრივი ოროგრაფიული პირობების ზემოქმედების შედეგად იცვლება. ხშირად ვითარდება ტემპერატურული ინვერსიები, რის შედეგადაც თრიალეთის ჰაერი საკმაოდ მკაცრი კლიმატური პირობებით გამოირჩევა. რეგიონის დაბალ ნაწილში ძირითადად მთის სტეპური ჰავაა გავრცელებული, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ამ რაიონისათვის ნალექთა საშუალო წლიური რაოდენობა 600-700 მმ-ია. იანვრის საშუალო ტემპერატურა  $-2^0$ -დან  $-6^0$ -მდეა, თუმცა ჰაერის აბსოლუტური მინიმუმი ზოგჯერ შეიძლება მკვეთრად დაეცეს და  $-20^0$ -მდეც კი დავიდეს, ხოლო უთბილესი კი  $14^0$ - $15^0$ -მდე მერყეობს, რომლის აბსოლუტური მაქსიმუმი შეიძლება  $35^0$ -ს აჭარბებდეს. წლის განმავლობაში მოსული ნალექების უმეტესობა გაზაფხულისა და ზაფხულის დასაწყისში მოდის. ნალექების

მინიმუმი კი ზამთრისთვისაა დამახასიათებელი. ამ მხარეში პავა მშრალი კონტინენტურია, ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ საქართველოსათვის.

### მცენარეული საფარი

მეოთხეულ პეიროდში მომხდარმა კლიმატურმა ცვლილებებმა, რომელიც შეა პლეისტოცენის შემდეგ მოხდა, გარკვეული როლი ითამაშა ფლორისა და ფაუნის სახეცვლილებაში, მათ შემადგენლობასა და გეოგრაფიულ განლაგებაში. ზომიერი და ცივი პავა, რომელიც სამხრეთ საქართვლეოს მთიან რეგიონებს ახასიათებს, უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე ზომიერად სითბოსმოყვარული და ყინვაგამძლე მცენარეულობის განვითარებას. ოროგრაფიული პირობების შესაბამისად, თრიალეთის მცენარეული დაჯგუფება ძირითადად უროიანი და ვაციწვერიანი ელემენტებისაგან შედგება. აქ ფართოდაა გავრცელებული პოლიდომინანტური ბალაზნაირები, სადაც ძირითადი სახეობებია: მარცვლოვნებიდან – სტეპის წივანა, კეწეწურა, მდელოს წივანა, სტეპის ტიმოთელა, ცხვრის წივანა, თაგვისარა, ნამიკრეფია, მაჩიტა, ბაია; ვაციწვერას სახეობები: თრიალეთის იონჯა, ქაფურა, წიწინაური, ჭადარა სამყურა; ასევე აღსანიშნავია, რომ ადრე ამ ადგილებში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული იყენები, ძირითადად ნაძვნარი, ფიჭვნარი, მუხნარი და არყნარი. ახლა ამ მხარეში ტყეები შემორჩენილია ტყის უმნიშვნელო ნაშთების სახით, ლოკალურად უმეტესწილად მდ. კუსრეთიწყლის აუზში – მდინარე ქციას ხეობაში, სოფ. დაშბაშის მიდამოებში, სადაც ფართოფოთლოვანი ტყეებია წარმოდგენილი: წიფელი, რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი და სხვა. ნატყევარი ვრცელი ტერიტორიები კი აქ დაფარულია ზემოთ აღწერილი მთის სტეპის მოყვარული მცენარეული საფარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონისათვის დამახასიათებელია წყალჭაობური დაჯგუფებები და ლერწმიანები, რომლებიც მრავლადაა ტბისა და მდინარის სიახლოვეს.

### ცხოველთა სამყარო

საქართველოს ფაუნისათვის დამახასიათებელია ენდემიზმი. ცხოველთა თითქმის ყველა ჯგუფში გვხვდება ენდემური სახეობები, ზოგ მათგანში კი გვარებიც დღევანდელი თრიალეთი, თავისი ლანდშაფტური პირობებიდან გამომდინარე აღარ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორც ადრე იყო. ადგილობრივმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა და ეკოლოგიურმა პირობებმა, ტყეების მასივების სიმცირემ თავისი ზეგავლენა იქონია დღევანდელ ფაუნაზე. თრიალეთში დღეისათვის გვხვდება: შველი, ტურა, მელა, მგელი, მაჩვი; ერთეულების სახითაა შემორჩენილი ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი; ძალზედ შემცირდა გარეული ღორის რაოდენობაც; ბევრია მღრღნელი: თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია ზაზუნა. რაც შეეხება თრიალეთის ფრინველთა სახეობებს მათ შორის

აღსანიშნავია: ქორი, შევარდენი, არწივი, ერთეულების სახით გვხვდება კავკასიური როჭო, შურთხი. მდინარეებისა და ტბების სიმრავლემ ხელი შეუწყო ამ მხარეში წყალმცურავფრინველთა პოპულაციების გავრცელებას. აქ მრავლადაა იხვის სხვადასხვა სახეობა, თოლია, წერო და სხვა სახის ფრინველები.

### გარემოში მომხდარი ცვლილებები

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს დღევანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი კაინოზოური ერის – პალეოგენური ხანის შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი იმდროინდელი მცენარეული და ცხოველთა სამყარო, კლიმატური, გარემო თუ სხვა პირობები არსებითად განსხვავდებოდა შემდგომი, მეოთხეული პერიოდის გარემოპირობებისგან. მაშინ მთლიანად კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ჰავა უფრო თბილი იყო. შესაბამისად, აქ სითბოსმოყვარული, ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები იზრდებოდა. ასევე განსხვავებული იყო ცხოველთა სამყაროც.

მესამეული პერიოდის ბოლოსა და მეოთხეული პერიოდის დასაწყისში საქართველოში არსებითად იცვლება, როგორც ლანდშაფტი, ასევე კლიმატური პირობები. გამყინვარებასა და გამყინვარებათშორის ეპოქაში, ბუნებაში მომხდარმა ცვლილებებმა დიდი ზეგავლენა იქნია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე. შუა და ზედა პლიოცენის მიჯნაზე ტროპიკული ჰავა უფრო ზომიერი ჰავით შეიცვალა. ამ პერიოდის კლიმატურმა ცვლილებებმა ვერ შეძლო ტროპიკული ლანდშაფტის მოყვარული ყველა ელემენტის განადგურება. თუმცა, კი გამოიწვია გარკვეული ცვლილებები, გადაადგილებები ფლორისა და ფაუნის შემადგენლობაში, მათ დაჯგუფებაში და გეოგრაფიულ განლაგებაში ზონებისა და სარტყლების მიხედვით. ასევე დიდია ადამიანის ზეგავლენა ბუნებაში მომხდარ ცვლილებებზე. პალეოლითის ხანიდან დღემდე ხდება საქართველოს და კერძოდ, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების ათვისება ადამიანის მიერ. მისმა სამეურნეო საქმიანობამ, რომელიც განაპირობებდა კაცობრიობის ისტორიის შემდგომ განვითარებას, აქტიური როლი ითამაშა თრიალეთის ფლორასა და ფაუნის ცვლილებაში. სამეურნეო მიწებზე მზარდმა მოთხოვნილებამ, ასევე მესაქონლეობის განვითარებამ, რომელიც სამოვრებად სულ უფრო და უფრო მეტი ტერიტორიების ათვისებას მოითხოვდა, საგრძნობლად შეცვალა მცენარეული საფარი. ადამიანმა დაიწყო ტყეების მასიური განადგურება დიდ ფართობზე. დღეისათვის ეს ფართობები გასტეპებული ველების სახითაა შემორჩენილი. ტყეების სიმცირემ კი გარკვეული ცვლილებები შეიტანა ცხოველთა სამყაროშიც – მკვეთრად შეამცირა აქ მობინადრე ცხოველთა მრავალფეროვანი სახეობები. დღეისათვის საერთოდ არ გვხვდება ან ერთეულების სახითაა შემორჩენილი – ირემი, შველი, ნიამორი, დათვი, ღორი და სხვ.

აღნიშნულ ტერიტორიაზე პალეობოტანიკური და პალინოლოგიური გამოკვლევები არ ჩატარებულა (მცირე სამუშაოები ჩატარდა აი-ილიას (KP-123) გათხრებისას ბაქო-

თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით). თუ ლაბორატორიული სამუშაოების დროს დაფინანსდება პალინოლოგიური გამოკვლევები, საშუალება გვექნება გარკვეული სურათი შეგვექმნას ამ რეგიონის ფლორის, ფაუნის, კლიმატური პირობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

### მიწის გამოყენების ისტორია.

უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში საფარ-ზარაბას სამაროვნის მიმდებარე ტერიტორია გამოიყენებოდა სახნავ-სათესად. ამჟამად მხოლოდ სათიბებია.

### პრეისტორიული და ისტორიული ფონი

წალკის რაიონში აღმოჩენილი უძველესი ფაუნის ნაშთები ბეშთაშენთან (ხმალკბილა გეფხვი, სამხრეთული სპილო და სხვ.), იმერასთან (სამხრეთული სპილო), სოფ. დარაკოვთან (ცხენი) არის აღმოჩენილი, რომლებიც 1,5 მილიონი წლის წინა პერიოდით თარიღდება. ორი უკანასკნელი აღმოჩენა დაკავშირებულია ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობასთან (იხ. 2003 წლის ანგარიში).

თრიალეთში ადამიანი ძველი ქვის ხანიდან დასახლებულა. სოფ. ავრანლოსთან აღმოჩენილი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული ხელ-ცულები და სხვა იარაღები აშელის ეპოქის (2 მილ.- 100 000 წლის წინ) გვიან საფეხურს განეკუთვნებიან. შუა პალეოლითის (100000-35000 წლის წინ) მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები კი მრავალ პუნქტშია (ელი-ბაბა, ბეშთაშენი, სანთა, ავრანლო, ოზნი, ჯინისი, იმერა) დადასტურებული. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობის ზონაშიც (იმერა KP-110, ელი-ბაბა KP-116, აი-ილია KP-123, სანთა KP-129) აღმოჩნდა.

მეზოლითის პერიოდი (12000-8000 წწ. ძვ.წ.) პლეისტოცენის (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი) დასასრულსა და პოლოცენის (გამყინვარების მომდევნო ეპოქა, რომელიც დაიწყო 10-12 ათასი წლის წინ) დასაწყისს ემთხვევა. ამ ეპოქის ძეგლები თრიალეთში აღმოჩენილია ეძანში (ბარმაქსიზი), ზურტაკეტში, თაქ-ქილისაში, ბეშთაშენში. მიღსადენის დერეფანში ამ ეპოქის იარაღები აღმოჩნდა აი-ილიას ნამოსახლარის გათხრებისას (KP-123).

გვიანი ნეოლითის თუ ადრე ენეოლითის (8000-3500 წწ. ძვ.წ.) მცირერიცხოვანი მასალები აი-ილიას ქვის თხემზე (KP-123) ჩატარებული გათხრებისას იქნა მოპოვებული.

ადრე ბრინჯაოს ხანის (3500-2500 წწ. ძვ.წ.) ძეგლები მიკვლეულია და ზოგი გათხრილია: ბეშთაშენში, ოზნიში, ავრანლოში, დაშ-ბაშში, ქ. წალკაში, ბაშქოიში, სანთაში.

შუა ბრინჯაოს ხანაში (2500-1800 წწ. ძვ.წ.) აღმოსავლეთ საქართველოში თრიალეთური კულტურა არის გავრცელებული. კულტურის სახელწოდება თრიალეთის პლატოზე გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლიდან იღებს სათავეს (პ. კუფტინი), რამდენადაც პირველად აქ იქნა მიკვლეული შუა ბრინჯაოს ხანის პირველი და მეტად საყურადღებო ძეგლები.

ბ. კუფტინის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების დროს სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი იქნა დაფიქსირებული. შემდეგში რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას თრიალეთის (ხელმძღ. ო. ჯაფარიძე. სწავლობდა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს), სამხრეთ საქართველოს (ხელმძღ. გ. გაბუნია. შეისწავლა ქვის ხანის ძეგლები) და წალკა-თრიალეთის (ხელმძღ. გ. ნარიმანიშვილი) ექსპედიციები ანხორციელებდნენ.

სხვა ეპოქის ძეგლებთან ერთად ექსპედიციებს შესწავლილი აქვთ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის (ძვ.წ. 1700-1400 წწ.), გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XIV-X სს.), ადრერკინის ხანისა (ძვ.წ. IX-VIII სს.) და რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VII-VI სს.) არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ბარეთის, ელი-ბაბას, ახალდაბის, სანთის, აშკალას, გუმბათის, ავრანლოს, ოზნის და ნარდევანის „ციკლოპურ“ სიმაგრეებსა და ნამოსახლარებს, წინწყაროს, სანთის, მარალინ-დერესის, თაქ-ქილისას, დარაკოვის, ბეშთაშენის, საფარ-ხარაბასა და ელი-ბაბას სამაროვნებს.

ანტიკური ხანის ძეგლები მიკვლეული და ნაწილობრივაა შესწავლილი ბეშთაშენში, სანთაში, ნერონ-დერესის ხევის პირთან, კარიაკში და სხვ.

ადრეულ შუასაუკუნეებში წალკის ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული. ახალი რელიგიის ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად რეგიონში იწყება დიდი სააღმშენებლო საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება IX საუკუნიდან. ამ დროიდან თრიალეთი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. მისი მმართველები, ბაღვაშები, საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებას ცდილობდნენ, რომელთა სეპარატისტულ ქმედებასაც დავით აღმაშენებელმა დაუსვა წერტილი. დავითის შემდეგ თრიალეთი სამეფო დომენად გამოცხადდა.

გვიან შუასაუკუნეებში მტერთა უსასრულო შემოსევების შედეგად თრიალეთი თანდათან გაუკაცრიელდა და XIX ს-ის დასაწყისისათვის მოსახლეობისაგან თითქმის დაიკალა.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ, წალკაშიც გამოიწვია ცვლილებები. კერძოდ, 1829 წლიდან მოკიდებული, რუსეთ-თურქეთის ყოველი ომის შემდეგ, ინტენსიურად ხდებოდა თურქეთში მცხოვრები ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება.

დღეისათვის ბერძნული მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოს (საბერძნეთს) უბრუნდება, მიმდინარეობს საქართველოს მთიან რეგიონებში სტიქით დაზარალებული მოსახლეობის განსახლება.

## წარსულში ჩატარებული კვლევის მოკლე ანგარიში

საფარ-ხარაბას (ბაიბურთი) მახლობლად რამდენიმე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია შესწავლილი.

1990-1991 წლებში წალკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ელი-ბაბას (საბეჭდავის) ციკლოპური ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს სოფ. ბეჭთაშენის ჩრდილოეთით, მდ. ბაშკოვ-სუს მარცხენა ნაპირზე (KP-116-თან). ციკლოპური სიმაგრის ტერიტორიაზე გაითხარა ცხრა სახლი, რომლებიც მათში დადასტურებული მასალის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებით. ციკლოპური ნამოსახლარის მიმდებარე ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ნამოსახლარი მდებარეობს. სახლები ყოფილა ბაზალტის მოზრდილი ქვებით უდუდაბოდ. დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში აგებული ყოფილა ერთნავიანი ბაზილიკა [ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ., მელიქიძე შ. წალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე შინაარსები), 2003, გვ. 123-124].

### ბეჭქენაშენი

„ციკლოპური“ ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ბეჭთაშენის (ბეჭქენაშენის) ჩრდილო-დასავლეთით, 0,5 კმ-ის დაცილებით (KP-120-თან) (სურ. 2).

ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილი მდ. ბერუკ-ჩაის (ბაშკოვ-სუ) და ჩილ-ჩილის (გერიაკ ჩაი) ხერთვისში არსებულ კონცხზე, ზღვის დონიდან 1550 მ სიმაღლეზეა გაშენებული, რომლის ფართობი 4 ჰა უდრის.

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა პროფ. ბ. კუფტინმა დაიწყო 1939 წელს, მან სიმაგრის ტერიტორიაზე რამდენიმე სადაზვერვო თხრილი გავლო, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ნამოსახლარი ადრე ბრინჯაო-შუა საუკუნეების ფენებს შეიცავს. ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აგებულია მცირე ეკლესია, რომელსაც წმ. ბარბარეს სახელდობისად მიიჩნევენ.

1991 წელს ძეგლის შესწავლა განახლა წალკა-თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. სამუშაოები ჩატარდა ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იქ სადაც გალავნის კედლები ყველაზე მეტად იყო დაზიანებული ქვის მომპოვებლების მიერ. გათხრების შედეგად გამოვლინდა სახლების ნაშთები და კულტურული ფენები.

„ციკლოპურ“ ნამოსახლარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დადასტურებულია შვიდი კულტურული ფენი:

1. მეზოლითური ფენა (1991 წლის გათხრები), რომელიც სიმაგრის სამხრეთით 100 მ-ის დაცილებით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე, მიწის ზედაპირიდან 3 მ-ის

სიღრმეზე მდებარეობს. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია ობსიდიანის და კაჟის მიკროლითებით.

2. მტკვარ-არაქსის ეპოქის მასალა, გამოვლენილია როგორც სიმაგრის ტერიტორიაზე (1939 და 1993 წწ. გათხრები), ისე სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, აქემენიდური ხანის სამაროვანზე. ასევე მდ. გერიაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე.

3. ძვ.წ. XVI-XIV სს. ნამოსახლარის ნაშთები სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა (1991-1993 წწ. გათხრები).

4. გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლები გამოვლენილია სიმაგრის ტერიტორიაზე და მდ. გერიაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე (1939 და 1991-1993 წწ. გათხრები).

5. ძვ.წ. VII-VI სს. სამაროვანი სოფ. ბეშთაშენიდან სოფ. საფარ-ზარაბასკენ მიმავალი გზის პირას, მშრალი ხევის ნაპირზე დაფიქსირდა (1995-1999 წწ. გათხრები).

6. ანტიკური ხანის (ძვ.წ. IV-I სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი გაითხარა (1991-1993 წწ. გათხრები).

7. შუა საუკუნეების ფენები ძირითადად სიმაგრის შიდა ტერიტორიაზე დაფიქსირდა (1939, 1992-1993 წწ. გათხრები).

„ციკლოპური“ სიმაგრის აღმოსავლეთით, მდ. ბაშკოვ-სუს მარცხენა ნაპირზე განლაგებულია გამოქვაბულთა სისტემა, სადაც განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკა იკრიფება (1990-1995 წწ.),

გამოქვაბულის სამხრეთით, მდინარისპირა მესამე ტერასაზე ქვედაპალეოლითური ხანის ქვის იარაღები იქნა შეგროვებული (1998-2000 წწ.) (იხ. შესაბამისი წლების საველე ანგარიშები. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში).

### ელი-ბაბას (საბეჭდავი) სამაროვანი

ელი-ბაბას (საბეჭდავი) სამაროვანი – მდებარეობს სოფ. ბაშქოის (ბარეთი) სამხრეთ-დასავლეთით 0,5 კმ-ის დაცილებით, მდ. ბაშქოვ-სუს მარცხენა ნაპირზე, მდინარისპირა მეორე ტერასაზე. სამაროვანი მიეკუთვნება ელი-ბაბას მთის თხემზე და ფერდობებზე მდებარე ნამოსახლარს, რომელიც წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1990-1999 წწ. ითხრებოდა (იხ. შესაბამისი წლების საველე ანგარიშები. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში).

ელი-ბაბას (საბეჭდავი) ნამოსახლარის გათხრილი ნაწილი, მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ქალაქური ტიპის დასახლებასთან, რომელსაც გააჩნია რეგულარული გეგმარების სასიმაგრო სისტემა, საცხოვრებელი კვარტალები, ქუჩები, მოედნები და საკულტო ადგილები.

გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ძირითადად ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება. დაზვერვების შედეგად ცნობილია, რომ ნამოსახლარი შეიცავს შემდგომი ეპოქის ფენებსაც.

ნამოსახლარი XX ს-ის 30-იან წლებში ბ. კუფტინს აქვს ნანახი და დატანილია მისი ხელმძღვანელობით ვ. წილოსანის მიერ შედგენილ რუკაზე. ამავე ნამოსახლარის ჩრდილოეთით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე დატანილი ნიშანი სამაროვანს აღნიშნავს.

მეორე სამაროვანი ნამოსხალარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 მ-ის დაცილებით, მშრალი ხევის მარცხენა ნაპირზე უნდა მდებარეობდეს.

მესამე სამაროვანი ნამოსახლარის აღმოსავლეთით 150 მ-ის დაცილებით მდებარეობს. აქ მიწის ზედაპირზე კრომლეხები და სამარხთა სახურავებია გაშიშვლებული (KP-115-თან).

მიღსადენის კორიდორში (KP-116) მოქცეული სამაროვანი კი რიგით მეოთხეა, რომელზედაც სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა.

2002-2003 წწ. 127 სამარხი გაითხარა. ყველა სამარხი ქვაყრილიანია. ქვაყრილის ზედაპირზე წვრილი ბაზალტის ქვები ყრია, რომელთა ქვეშ საშუალო ან მოზრდილი ქვები დასტურდება.

ყველა სამარხი ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. სახურავთა უმეტესობა გადაადგილებულია, ან სამარხი კამერის გვერდით დევს ან შიგ არის ჩავარდნილი.

სამარხთა დიდ ნაწილში მიცვალებულის ჩონჩხი არ დაფიქსირებულა. ელი-ბაბას სამაროვანი ზოგადად რკინის ფართო ათვისების ხანას განეკუთვნება [წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ელი-ბაბას (საბეჭდავის) სამაროვანზე 2003 წ. ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში, გვ. 3, 13, 18, 19].

### საფარ-ხარაბა

საფარ-ხარაბას სამაროვნის მახლობლად 1939 წელს ბ. კუფტინმა ორი ყორლანი (XXIV, XXV) გათხარა, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება.

„დურნა თეფესი“ (XXIV ყორლანი) სოფ. ბაშქოის დასავლეთით 0,25 კმ-ის და სოფ. კარაკომის სამხრეთით 0,5 კმ-ის დაშორებით, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის ჩრდილოეთით 100-ოდე მეტრის დაცილებით მდებარეობს (KP-117-თან). სამარხ კამერაში, რომელიც ხის მორებით ყოფილა გადახურული, მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი დადასტურდა, რომელსაც თიხის ორი ჭურჭელი, სპილენძის მახათი და საკინძი პქონდა ჩატანებული [Куфтин, 1939, с. 27 и сл.; Жоржикашвили, Гогадзе, 1974, с. 13].

„ბერუპ აიუ თეფესი“ (XXV ყორლანი) სოფ. ბაშქოის დასავლეთით 0,25 კმ-ის დაცილებით მდებარეობს. მისი ყრილი დღესაც შეინიშნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის

ენერგოკორიდორის ჩრდილოეთით 100-ოდე მეტრის დაცილებით (KP-117-თან). სამარხ კამერაში ურმის ნაშთები და შავპირიალა თიხის ჭურჭლები აღმოჩნდა [Куфтин, 1939, с. 27 и сл.; Куфтин, 1941, с. 101-105; Жоржикашвили, Гогадзе, 1974, с. 12-13].

ადგილობრივი მცხოვრების ალექსი ბუდაგოვის მონაყოლზე დაყრდნობით ბ. კუფტინი ამ ორ ყორდანს შორის კიდევ ერთ, დაბალ ყორდანს ეძებდა, მაგრამ ვერ მიაგნო.

წალკა-თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ ორ ძეგლს შორის მოქცეულ ყორდანს მიაკვლია და გათხარა 2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერში (KP-117, 550).

ძეგლის ქვაყრილი ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში, გაზის მილის ზონაში მდებარეობს. იგი ძლიერაა დაზიანებული, განსაკთოებით მისი სამხრეთ ნაწილი.

ქვაყრილის შემორჩენილი კონტურის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი დიამეტრი 10-12 მ უდრიდა. როგორც ჩანს, შიდა სივრცე მთლიანად ქვაყრილით იყო შეკსებული.

ქვაყრილის ცენტრში ბაზალტის ფილებით ნაგები სამარხი კამერა დადასტურდა, რომელიც ჩრდილოეთი-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი. კამერის ოთხივე კედელი ბაზალტის ბრტყელი ქვის ფილებითაა ამოშენებული. სამარხი კამერა გეგმაში, ნალისებურია.

სამარხში ერთი მიცვალებული ჩაუსვენებიათ, ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე თავით ჩრდილოეთის მიმართულებით. სახის წინ ჩაუდგამთ ბადია. დასავლეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე კი მძივები დადასტურდა [დაწვრილებით იხ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წლის სექტემბერ-ნოემბერში ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში, გვ. 8-17].

### საფარ-ზარაბას სამაროვანი

სოფ. საფარ-ზარაბა (ბაიბურთი) მდ. გერიაკ ანუ ბაიბურთ-ჩაის და მდ. ბაშქოვ-სუს შესაყარშია გაშენებული. მდინარეთა ხერთვისში ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი „ბეშთაშენის ციკლოპური ნამოსახლარი“ მდებარეობს. სოფელი მისგან ჩრდილოეთით 200-ოდე მეტრითაა დაცილებული.

სოფელს ახალი სახელი (საფარ-ზარაბა, ბაიბურთი) XIX ს-ში თურქეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა დაუმკვიდრეს.

სოფლის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში ექ. თაყაიშვილმა ჩაატარა, რომელმაც შუა საუკუნეების ძეგლები გათხარა [ჩარკვიანი მ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოები, ძიებანი № 9, 2002, გვ. 88-89].

XX ს-ის 30-იან წლებში ბ. კუფტინმა საფარ-ხარაბას მიდამოებში სამ პუნქტში იმუშავა:

1. 1938-39 წწ. ადგილ „ბაიბურთუნ გარსიში“ სამი ყორდანი (XII, XIII, XIV) და ერთი ქვაყრილი შეისწავლა [Куфтин, 1939, с. 27 и сл.].
2. თანამედროვე სასაფლაოსთან 1939 წელს სამი ქვაყუთი გათხარა [Куфтин, 1939, с. 27, 39-41; Жоржикашвили, Гогадзе, 1974, с. 11-12].
3. ბაიბურთის მინდორზე 4 სამარხი გათხარა. ეს სამარხები ჩვენს მიერ გათხრილი სამაროვნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

სამაროვანი მდებარეობს სოფ. ბაიბურთის ჩრდილოეთით, განფენილია აღმოსავლეთი-დასავლეთის ხაზზე და მოიცავს ბაქო-თბილისი-ჯეიპანის კორიდორს (KP 119+350 – KP 120+600) მთლიანად.

2003-2004 წწ. სამაროვანზე გაითხარა 31 სამარხი. სამაროვანზე დადასტურებული კომპლექსები ძვ.წ. XV-XIV სს. თარიღდება [ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წლის სექტემბერ-ნოემბერში ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში; ნარიმანიშვილი გ. საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2004 წ. ჩატარებული სამუშაოები, გვ. 54, 239-320, 841, 842].

#### აი-ილიას ნამოსახლარი (KP-123)

ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ბეჭთაშენსა და სოფ. სანთას შორის, აი-ილიას მთის გარშემო. მთის თხემი და ფერდობები უკავია „ციკლოპურ“ სიმაგრეს, ნამოსახლარსა და ხელოვნურ ტერასებს.

„ციკლოპური“ სიმაგრე გარშემო უვლის მთას, რომლის წვერზეც ადგილობრივი მოსახლობის მიერ XX ს-ის 70-იან წლებში აგებული ეკლესია დგას.

არქეოლოგიური ძეგლი XX ს-ის 30-იან წლებშია მიკვლეული. იგი დატანილია ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით, ვ. წილოსანის მიერ შედგენილ რუკაზე. ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები მიღსადენის გაყვანამდე არ ჩატარებულა.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის ტრასა გადის აი-ილიას მთის სამხრეთ კალთაზე, „ციკლოპურ“ სიმაგრესა და ნამოსახლარს შორის. ენერგოკორიდორში 2002 წლის სექტემბერში გავლებული იქნა ცხრა (№№ I-IX) თხრილი (იხ. გ. ნარიმანიშვილი, ზ. მახარაძე, ნ. შანშაშვილი. სამხრეთ საქართველოს მიღსადენის ტრასის წალკის რ-ნის მონაკვეთზე 2002 წ. სექტემბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში); 2002 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაითხარა ოცდაორი თხრილი (№№ X-XXXI) (იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2002 წ. ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში); 2003 წელს გაითხარა

კიდევ ცხრა (№№ XXXII-XL) თხრილი. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები (ძირითადად ქვის იარაღები) მიუთითებს უძველესი, გვიანშეზოლითური – ადრე ენეოლითური ხანის ნასადგომევის არსებობაზე (იხ. გ. ნარიმანიშვილი, აი-ილიას ნამოსახლარზე (Kp-123) 2003 წ. ჩატარებული სამუშაოების ანგარიში).

## საველე და ლაბორატორიული მეთოდიკა

### საველე მეთოდები

გათხრები დაიწყო ენერგოკონიდორის გაზსადენის მხარეს მშენებლების მიერ მძიმე ტექნიკით მიწის ზედაპირის („ტოპ-სოელი“) მოხსნის შემდეგ.

მანამდე, 2005 წლის მარტს მიმდინარეობდა მიწის სამუშაოების მონიტორინგი. „ტოპ სოილის“ მოხსნისას დაფიქსირებული ქვაყრილები შემოიღობა სპეციალური ბაფთით. ყველა ქვაყრილი ტოპოგრაფის მიერ დატანილი იქნა რუკაზე.

სამაროვანის იმ ნაწილში, რომელიც ენერგოკონიდორში მოექცა გაკეთებულია 45 თხრილი. ნაწილი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, ნაწილი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. თხრილები გავლებული იქნა სამარხთა მოძიების მიზნით.

KP 119+350 და KP 120+600 შორის მოქცეულ მონაკვეთზე ძეგლების გათხრა 1 ივნისს დაიწყო და 4 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მთელი ფართობი დაიფარა ნაკვეთების და კვადრატების ბადით, რომელიც 2003 წელს გაკეთებულ ბადესთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. დაინომრა I-CCXL ნაკვეთი, რომელთა ზომებია 18x24 მ. სამარხთა კონცენტრაციის ადგილებში ნაკვეთები 6x6 მ. კვადრატებად დაიყო, საჭიროების შემთხვევაში კვადრატები 2x2 მ და 1x1 მ მონაკვეთებად დანაწილდა.

ქვაყრილების გამოვლენის მიზნით მოიხსნა მიწის ბუნებრივი საფარი. სამარხი კამერების გათხრის შემთხვევაში დანით იხსნებოდა 0,05 მ-0,1 მ სისქის ფენები, სამარხის იატაკი და მიცვალებულის ჩონჩხის გამოვლენა ხდებოდა დანის, ლანცეტისა და ფუნჯის მეშვეობით. ფენები ინომრებოდა ზევიდან ქვევით.

რუკები შედგა ტოპოგრაფის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით. რუკაზე დატანილი იქნა რელიეფი, ნაკვეთების ბადე, დაფიქსირდა მყარი ნულოვანი წერტილი. გათხრის პროცესში, ყველა უბანზე დაფიქსირდა სათადარიგო ნულოვანი წერტილიც, რომელიც ძირითად წერტილზე იქნა მიბმული.

რამდენადაც საფარ-ხარაბას სამაროვანი სიგრძეში 1800 მ-ს აღწევდა, KP- 120-ზე მონაკვეთი სამ უბნად დაიყო. ამ უბნების შესაბამისი გეგმებიც შედგა, ცალკეული სამარხი არქიტექტორის მიერ იქნა ჩახატული. შედგა სამარხის გეგმა – სამარხი კამერის გახსნამდე და გახსნის შემდეგ 1:50 მ მასშტაბით, სამარხი კამერების იატაკზე დაფიქსირებული სიტუაციის 1:10 მ ან 1:20 მ მასშტაბით აგეგმვა, ყველა ნივთისა და მიცვალებულის მდებარეობის ზუსტი დაფიქსირება, შედგა სამარხების ჭრილები; საჭიროების შემთხვევაში გაკეთდა ცალკეული მონაკვეთების უფრო ზუსტი ფიქსაცია (სურ. 66, 100-102).

ფოტოფიქსაცია მიმდინარეობდა ყოველდღიურად. ფიქსირდებოდა როგორც სამუშაო სიტუაცია, ისე განათხარი ძეგლების მდგომარეობა – გათხრების დაწყებიდან 3-4 საათის შემდეგ და სამუშაო დღის ბოლოს, სამარხ კამერაში მოხსნილი ყველა დონე (სურ. 24,

36). სამარხი კამერის იატაკზე დაფიქსირებული სიტუაციის დეტალური ფოტოგადაღება (სურ. 21-23, 39, 40, 68, 83-88, 96-99).

ფოტოფიქსაცია ხდებოდა ციფრული აპარატის, ნეგატიური და პოზიტიური ფირების საშუალებით, პარალელურად მიმდინარეობდა ვიდეოფიქსაციაც.

სამაროვნის ტერიტორიიდან და სამარხებიდან აღებული იქნა ნიმუშები პალინოლოგიური, ანთროპოლოგიური და პალეოზოოლოგიური კვლევისათვის.

მიწის ნიმუშები აიღო პალინოლოგმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ელ. ყვავაძემ.

ნიმუშები აღებულ იქნა სამარხი კამერის სხვადასხვა დონეზე, სამარხში მოთავსებულ თიხის ჭურჭლის შუა ნაწილიდან, ძირიდან. მიცვალებულის ირგვლივ: თავის ქალასთან, მუცლის არედან, კიდურების სიახლოვეს.

სტერილური დანით ხდებოდა 50-100 გრამი მიწის აღება, რომელიც თავსდებოდა ელვაშესაკრავიან პოლიეთილენის პარკებში.

სამარხში დადასტურებული მიცვალებულის ძვლების ის ნაწილი, რომლებიც საშუალებას იძლეოდა მიცვალებულის სქესისა და ასაკის დადგენას ანთროპოლოგმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ბითაძემ შეფუთა და ჩამოიტანა თბილისის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში შემდგომი დამუშავებისათვის.

მიცვალებულის ჩონჩხის უსახო ფრაგმენტები და ზედაპირიდან აკრეფილი მასალა დამარხულია შემდეგ სამარხებში:

1. სამარხი № 84 – მიცვალებულის ჩონჩხის (ძვლის) ფრაგმენტები.
  2. სამარხი № 85 – მიცვალებულის ძვლის უსახო ფრაგმენტები.
  3. სამარხი № 71 – მიცვალებულის უსახო ფრაგმენტები და ზედაპირიდან აკრეფილი კერამიკის უსახო ნატეხები.
  4. ცალკე ორმოები გაკეთდა ენერგოკორიდორის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, რომელშიც დაიმარხა მიცვალებულის ძვლების უსახო ფრაგმენტები (იხ. გენგეგმა).
- ცხოველთა ძვლები აღებულ იქნა არქეოლოგების მიერ, შეიფუთა და ჩამოტანილ იქნა აკც-ს ლაბორატორიაში.

### ლაბორატორიული მეთოდები

სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები გაირეცხა, ნაწილს გამოეცვალა ეტიკეტი, არტეფაქტები (კერამიკა) მომზადდა სარესტავრაციოდ.

არტეფაქტები დაჯგუფდა სამარხების მიხედვით.

ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიღებული მონაცემები დამუშავებულია კომპიუტერულ ფაილებად Exell, Word პროგრამებში.

ლაბორატორიული სამუშაოების დამთავრების შემდეგ მასალა გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

### პალინოლოგიური მასალის დამუშავების მეთოდი.

მიწის ნიმუშები დამუშავდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალეობოტანიკური განყოფილების პალინოლოგიურ ლაბორატორიაში ლაბორანტ თამარ ხახუტაიშვილის დახმარებით და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ელისო ყვავაძის ხელმძღვანელობით.

პალინოლოგიური დამუშავების მეთოდის მიხედვით პირველ დღეს 50-80 გრამი მიწის ნიმუში 5 წუთის განმავლობაში ტუტეში (KOH) მოიხარშება და მტვრის მარცვლების დალექვის მიზნით 24 საათის განმავლობაში დადგება. შემდეგ ეტაპზე მოხდება მასალის ცენტრიფუგირება ჯერ დისტილირებულ წყალში და შემდეგ კადმიუმის სითხეში, რის შემდეგაც ისევ მოხდება ნიმუშის დაყენება 24 საათის განმავლობაში. შემდეგი ეტაპი აცეტოლიზს დაეთმობა. მტვრის მარცვლების შეღებვის შემდეგ მოხდება მასალის ცენტრიფუგირება ჯერ ძმარმჟავაში, მერე კი დისტილირებულ წყალში.

მასალის იდენტიფიკაცია გლიცერინზე დამზადებულ დროებით პრეპარატზე მოხდება: თითოეული ნიმუშიდან დაითვლება მტვრის მარცვლები და სპორები ლეიტცის გერმანული ფირმის მიკროსკოპით (სერიის ნომერი Wetzlar № 522929), მოხდება მტვრის მარცვლებისა და სპორების იდენტიფიკაცია დღეს არსებული პალინოლოგიური ატლასებითა და თანამედროვე მტვრის ეტალონური პრეპარატებით, შედგება პალინოლოგიური დიაგრამები ყველა კომპონენტის პროცენტთა შემადგენლობის აღნიშვნით (ტაქსონების პროცენტები დაითვლება მტვრისა და სპორების საერთო ჯამიდან).

შესწავლილი პალინოლოგიური მასალის გადაღება მოხდება Minolta-ს ფირმის დიგიტალური ფოტოაპარატით. შესწავლილი ნიმუშები შეინახება პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ კოლექციაში.

### ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდი

საფარ-ზარაბას სამაროვანზე მოპოვებული ანთროპოლოგიური მასალა გაირეცხა და მომზადდა შემდეგი დამუშავებისათვის.

ამ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია საფარ-ზარაბას უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ზანგრძლივობის განსაზღვრა, რაც ამ მოსახლეობის აღწარმოების ტემპის,

გარემოსთან ადაპტაციისა და სოციალური განვითარების მაჩვენებელია; მოკვდაობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; ბავშვთა მოკვდაობა; მოსახლეობის ფიზიკური განვითარება; ზოგიერთი ანომალიების გავრცელების სიხშირის დადგენა (კარიესი, ჰიპოპლაზია, კბილების ანომალიური ზრდა).

### **ოსტეოლოგიური მასალის დამუშავების მეთოდი.**

საფარ-ზარაბას სამაროვანზე მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალა გაირეცხა. შემდგომი დამუშავების დროს შედარებული იქნება თანამედროვე ოსტეოლოგიური მასალის ატლასებთან და კატალოგებთან, მოხდება მათი იდენტიფიკაცია.

დამუშავებული მასალა შეინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა თანამშრომლებმა:

<p>1. ნარიმანიშვილი გ. (ზელმძლვანელი)</p> <p>2. ამირანაშვილი ჯ. (მოადგილე)</p> <p>3. დავლიანიძე რ. (არქეოლოგი)</p> <p>4. მურვანიძე ბ. (არქეოლოგი)</p> <p>5. ნიორაძე მ. (არქეოლოგი)</p> <p>6. გაბუნია მ. (არქეოლოგი)</p> <p>7. კალანდაძე კ. (არქეოლოგი)</p> <p>8. ჩართოლანი შ. (არქეოლოგი)</p> <p>9. გამყრელიძე გ. (არქეოლოგი)</p> <p>10. ჩიხლაძე ვ. (არქეოლოგი)</p> <p>11. კილურაძე ნ. (არქეოლოგი)</p> <p>12. მარგველაშვილი მ. (არქეოლოგი)</p> <p>13. გრიგოლია გ. (არქეოლოგი)</p> <p>14. ჯაფარიძე ო. (არქეოლოგი)</p> <p>15. ლორთქიფანიძე გ. (არქეოლოგი)</p> <p>16. დუნდუა გ. (არქეოლოგი)</p> <p>17. ყიფიანი გ. (არქეოლოგი)</p> <p>18. კვაჭაძე მ. (ასისტენტი)</p> <p>19. კახიანი კ. (ასისტენტი)</p> <p>20. გიუნაშვილი გ. (ასისტენტი)</p> <p>21. ბერაძე ე. (ასისტენტი)</p> <p>22. ჯიქია ლ. (ასისტენტი)</p> <p>23. აზვლედიანი ნ. (ასისტენტი)</p> <p>24. სულთანიშვილი ი. (ასისტენტი)</p>	<p>25. პაჭიკაშვილი ნ. (ასისტენტი)</p> <p>26. მაღრაძე ლ. (ასისტენტი)</p> <p>27. შანშაშვილი ნ. (ასისტენტი)</p> <p>28. ტურიაშვილი დ. (ასისტენტი)</p> <p>29. ესაკია ვ. (ასისტენტი)</p> <p>30. მანჯგალაძე გ. (ასისტენტი)</p> <p>31. ჭელიძე ლ. (ასისტენტი)</p> <p>32. ღლილვაშვილი ე. (ასისტენტი)</p> <p>33. თურმანიძე მ. (ასისტენტი)</p> <p>34. ქორქია ლ. (ასისტენტი)</p> <p>35. სტურუა ქ. (ასისტენტი)</p> <p>36. ფხოველიშვილი გ. (ასისტენტი)</p> <p>37. გიგუაშვილი ნ. (ასისტენტი)</p> <p>38. ჯორჯაძე მ. (ასისტენტი)</p> <p>39. ტატიშვილი გ. (მხატვარი)</p> <p>40. ჭიჭინაძე გ. (მხატვარი)</p> <p>41. დუმბაძე დ. (მხატვარი)</p> <p>42. ოქრუაშვილი ნ. (მხატვარი)</p> <p>43. სირაძე გ. (მხატვარი)</p> <p>44. ყაზახიშვილი (მხატვარი)</p> <p>45. თევზაძე ა. (ჭოპოგრაფი)</p> <p>46. ყვავაძე ე. (პალინოლოგი)</p> <p>47. ბითაძე ლ. (ანთროპოლოგი)</p> <p>48. ნარიმანიშვილი რ. (მძღოლი)</p> <p>49. მუსხიევი ა. (მძღოლი)</p> <p>50. ქარიბოვი ბ. (მძღოლი)</p> <p>51. ხერუმაშვილი მ. (მძღოლი)</p> <p>52. ჯალაბაძე ა. (მძღოლი)</p>
--	--

53. პარასკევოვა ლ. (მზარეული) 54. კვიციანი კ. (მზარეული) 55. მამულაშვილი ნ. (მზარეული) 56. კვიციანი ე. (ლოჯისტიკი) 57. ქურდაძე მ. (ლოჯისტიკი) 58. ბენაშვილი ნ. (ლოჯისტიკი) 59. მავრანგელოვი ბ. (დარაჯი) 60. მურადოვი დ. (დარაჯი) 61. ქურდოვი ს. (დარაჯი)	
--	--

ბ) კამერალურ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს:

1. გამყრელიძე გ. (ხელმძღვანელი) 2. ნარიმანიშვილი გ. (ხელმძღვანელი) 3. სადრაძე ვ. (არქეოლოგი) 4. ბრაგვაძე ზ. (არქეოლოგი) 5. დუნდუა გ. (არქეოლოგი) 6. ჭანიშვილი თ. (ასისტენტი) 7. ესაკია ვ. (ასისტენტი) 8. ტურიაშვილი დ. (ასისტენტი) 9. ჯორჯაძე მ. (ასისტენტი) 10. გიგუაშვილი ნ. (ასისტენტი)	11. ნებიერიძე ლ. (ასისტენტი) 12. ჩხატარაშვილი მ. (ასისტენტი) 13. ჩარგვიანი მ. (ასისტენტი) 14. კვაჭაძე მ. (ასისტენტი) 15. ნიორაძე გ. (სამეცნ. ასისტენტი) 16. თევზაძე ა. (ტოპოგრაფი)
---	---

**2005 წლის 25-28 მარტს ჩატარებული  
სამუშაოები**

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია № C-03-BTC-52923 HL-  
ხელშეკრულების საფუძველზე საველე სამუშაოებს აწარმოებდა KP 118-დან  
KP 121-ის ჩათვლით.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. ოვაზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.
3. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.

ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე ექსპედიციამ გათხრები 2003-2004 წლებშიც ჩაატარა (იხ. შესაბამისი წლების ანგარიშები). ეს სამუშაოები ძირითადად ენერგოკორიდორის სამხრეთ ნაწილში მიმდინარეობდა, იქ სადაც ნავთობის მილი ჩაიდო.

KP 118-სა და KP 121-ს შორის მოქცეული მონაკვეთი არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლით გამოირჩევა, ამიტომ გადაწყვდა ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში „ტოპ-სოილის“ მოხსნის სამუშაოებთან დაკავშირებით ექსპედიციას და BP-ის საველე ოფიცრებს ერთად ჩაეტარებინათ ამ მონაკვეთის მონიტორინგი.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა:

1. KP 118+635-ზე გამოვლინდა ყორდანული სამარხის ქვაყრილი.
2. KP 119+090-ზე შეინიშნება სუსტად გამოხატული ქვაყრილი, რომელიც დიდ ფართობზე ვრცელდება (ტაბ. II). მიწის სამუშაობის დროს ბულდოზერმა ამ ადგილიდან ამოიღო ბაზალტის დიდი ფილა, რომელიც შესაძლებელია სამარხის სახურავს წარმოადგენდეს. ეს ფილა დღეისათვის ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ კიდეზე დგვა.

KP 117-სა და KP 119-ს შორის მოქცეულ მონაკვეთში 2003 წელს ორი ყორდანი (KP117+550 ; KP 118+755) გაითხარა, რომლებიც ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახლად გამოვლენილი ქვაყრილებიც ამ ეპოქას მიეკუთვნებიან.

მეორე არქეოლოგიური უბანი KP 119+750-დან იწყება და KP 120+460-მდე გრძელდება. ამ მონაკვეთში გამოვლენილია ვრცელი სამაროვანი (იხ. 2003

წლის ანგარიში), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „საფარ-ხარაბას სამართვის“ სახელითაა ცნობილი.

2003-2004 წლებში ექსპედიციამ სამართვანის იმ მონაკვეთზე, რომელიც ნავთობის მიღის ზონაში მოექცა 31 სამარხი გათხარა. სამანქანო გზის და გაზსადენის ზოლის ნაწილში სამარხების არსებობაც მაშინვე იქნა დაფიქსირებული (იხ. შესაბამისი წლების ანგარიშები).

სამანქანო გზის მონაკვეთში მოქცეულ სამარხებზე 2003 წელს გეოტექსტილი იქნა დაფენილი, რომელსაც ზევიდან ხრეში დაეყარა. ეს გაკეთდა სამარხების დაცვის მიზნით, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა ამ მეთოდმა არ გაამართლა. პირიქით, ამ ქმედებას, ენერგოკორიდორის ზოგიერთ მონაკვეთში სამარხი კამერების დაზიანებაც მოჰყვა. ეს გამოიწვია გზაზე მოძრავი ტექნიკის სიმძიმემ და სამარხი კამერების რბილმა შევსებამ. მანქანები ასეთ სირბილეებში ხშირად ეფლობოდნენ. რის შედეგადაც ჩნდებოდა ღრმულები, რომლებშიც ხრეშის ახალი ფენა იყრებოდა, რაც შესაბამისად სამარხი კამერების ხრეშით შევსებას იწვევდა. ამდენად, ასეთი მონაკვეთების არქეოლოგიური შესწავლა გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

მონიტორინგის ჩატარების შედეგად დადასტურდა, რომ KP 119+750-სა და KP 120+460-ს შორის მოქცეული სამართვანი ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილშიც გრძელდება და მთლიანად მოიცავს ენერგოკორიდორს (სურ. 7-9).

გაზსადენის ზოლში „ტოპ-სოილის“ მოხსნისას ქვაყრილთა მთელი წყებები გამოვლინდა (სურ. 5-8), რომლებიც უდავოდ ანთროპოგენული წარმოშობისაა და სამარხთა ქვაყრილებს წარმოადგენენ (სურ. 10-13, 16-19).

წინასწარული მინაცემებით გამოვლენილია 52 ქვაყრილი. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მცირე ზომის, მიჯრით განლაგებული ქვაყრილი ერთი სამარხის ყრილს წარმოადგენდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი სამარხის ქვაყრილი შედარებით ღრმადაა გამართული და ისინი „ტოპ-სოილის“ ამ დონეზე არ გამოჩნდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამარხთა ნაწილს ქვაყრილი არ გააჩნია. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენერგოკორიდორში შეიძლება იმაზე მეტი სამარხი აღმოჩნდეს ვიდრე ჩვენი მონიტორინგის დროს იქნა დაფიქსირებული.

## **BP-ის გაეგზავნა შემდეგი დასკვნა**

KP 119+750-სა და KP 120+460-ს შორის გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები 2003-2004 წლებში გათხრილი სამაროვნების გაგრძელებას წარმოადგენს და მათი თანადროულია.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე მოპოვებული მასალები გამორჩეულია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებს შორის. ისინი ახლო პარალელებს პოულობენ არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და ეგვიპტის თანადროული კულტურებისათვის დამახასიათებელ მასალებთან. გვხვდება იმპორტიც.

აღსანიშნავია, ისიც რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის თანადროული ნამოსახლარები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე დღეისათვის თითქმის არ არის შესწავლილი. ამდენად ამ სამაროვნის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმის გამოც, რომ სოფ. საფარ-ხარაბას სამხრეთით გათხრილია მისი თანადროული ნამოსახლარი და მათი ერთ კონტექსტში განხილვა უფრო სრულყოფილს გახდის ძვ.წ. XV-XIV სს-ში მიმდინარე ისტორიული პროცესის შესწავლას.

## **რეკომენდაცია BP-ის**

1. აუცილებელია KP 118+625-სა და KP 120+460-ს შორის გამოვლენილი სამარხების არქეოლოგიური შესწავლა.
2. სამუშაოები შეიძლება წარიმართოს ეტაპების მიხედვით.
3. მოხდეს ენერგოკორიდორის KP 119+750-სა და KP 120+460-ს შორის მოქცეულ მონაკვეთში 38 მ სიგანის ზოლში მოხვედრილი ყველა ძეგლის გათხრა.
4. აუცილებლად უნდა შემუშვდეს არქეოლოგიური სამუშაოების გრძელვადიანი პროგრამა, რათა KP 119+750-სა და KP 120+460-ს შორის დარჩენილი ის მონაკვეთიც (KP 119+750-სა და KP 120+460-ს შორის (6 მ სიგანის ზოლი) იქნეს შესწავლილი, რომელზეც არ მოიხსნა „ტოპ-სოილი“, მაგრამ დარჩა ენერგოკორიდორის ზონაში.

## სამუშაოებთან დაკავშირებული პრობლემები:

1. მიწის დასაწყობება.

BP-იმ უნდა გამოყოს, ან მიგვითოთოს იმ ადგილებზე სადაც მოხდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამოღებული მიწის დაყრა.

KP 119+750-სა და KP 120+350-ს შორის წარმოებული სამუშაოებისათვის ეს პრობლემა შეიძლება შედარებით ადგილად გადაწყდეს. ხოლო KP 120+350-სა და KP 120+460-ს შორის ამოღებული მიწისათვის ალბათ სპეციალური რეჟიმი იქნება დასადგენი. თუმცა ამ მონაკვეთში არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობის მიღისათვის გაჭრილი თხრილის მიწით შევსების შემდეგაც შეიძლება ჩატარდეს.

2. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების პერიოდში, სამარხების გამოვლენის, ამოღებული მიწის და სადრენაჟო სისტემის მოწყობის მიზნით აუცილებელია ტექნიკის დახმარება
3. KP 119+750-სა და KP 120+350-ს შორის გაზის მიღების დაწყობის და შედუღების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს არქეოლოგიური ძეგლების გათხრის შესაძლებლობა.
4. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოები შეაფერხებს სამარხის შესწავლის დასრულებას, უნდა მოინახოს სამუშაოების დასრულების საშუალება.
5. სასურველია KP 119+750-სა და KP 120+350-ს შორის მოქცეული ძეგლების გათხრა წლის შედარებით მშრალ პერიოდში მოხდეს.
6. არქეოლოგიური ძეგლების გაზაფხულზე გათხრის შემთხვევაში გასათვალისწინებული იქნება, რომ ხშირი ატმოსფერული ნალექები შეაფერხებენ სავალე სამუშაოებს, ამასთან უარყოფითად იმოქმედებენ ძეგლების შესწავლის ხარისხზე და მეთოდიკის დაცვაზე.

ასეთი და სხვა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია გამოვლენილი სამარხების გადახურვა და ისეთი სადრენაჟო სისტემის მოწყობა, რომელიც გამორიცხავს სამარხი კამერების წყლით შევსებას.

**2005 წლის აპრილ-მაისში ჩატარებული  
სამუშაოები**

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია № C- 02-BTC-52923 HL-121 ხელშეკრულების საფუძველზე საველე სამუშაოებს აწარმოებდა KP 118+500-დან KP 119+100-ის ჩათვლით.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
3. ნარიმანიშვილი რევაზი – მდროლი.
4. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.

ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე ექსპედიციამ გათხრები 2003-2005 წლებშიც ჩატარა (იხ. შესაბამისი წლების ანგარიშები). ეს სამუშაოები ძირითადად ენერგოკორიდორის სამხრეთ ნაწილში მიმდინარეობდა, იქ სადაც ნაგორის მილი ჩაიდო.

ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში, „ტოპ-სოილის“ მოხსნის სამუშაოებთან დაკავშირებით, ექსპედიციამ BP-ის საველე ოფიცრებთან ერთად 2005 წლის 25-28 მარტს ერთობლივი მონიტორინგი ჩატარა. 118-119-ე კილომეტრებს შორის მოქცეულ ფართობზე შემდეგი სიტუაცია დაფიქსირდა:

1. KP 118+635-ზე გამოვლინდა ყორდანული სამარხის (?) ქვაყრილი.
2. KP 119+090-ზე შეინიშნება სუსტად გამოხატული ქვაყრილი, რომელიც დიდ ფართობზე ვრცელდება. მიწის სამუშაოების დროს ბულდოზერმა ამ ადგილიდან ამოიღო ბაზალტის დიდი ფილა, რომელიც შესაძლებელია სამარხის სახურავს წარმოადგენდეს. ეს ფილა დღეისათვის ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ კიდეზე დგეს.

რამდენადაც აღნიშნულ მონაკვეთებზე დადასტურებული ქვების კონცენტრაციის ადგილები არქეოლოგიურ შემოწმებას ითხოვდა, ექსპედიცია 25 აპრილს შეუდგა საველე სამუშაოებს. უამინდობის გამო ექსპედიცია სამუშაოების დაწყებიდან მესამე დღეს იძულებული იყო შეეწყვიტა მუშაობა. საველე სამუშაოები განახლდა 4 მაისს.

ენერგოკორიდორს 118-119-ე კილომეტრებზე გადაკვეთილი აქვს გაუქმებული გზა, რომელიც სოფ. ბაშქოის სოფ. საფარ-ხარაბასთან

აკავშირებდა. ეს გზა ქვით იყო მოკირწყლული და მისი მოხსნის შემდეგ ენერგოკორიდორში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შედეგად გაჩნდა ქვების კონცენტრაციის ადგილები. ამდენად, ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ქაყრილების დანიშნულების გარკვევა. ამ მიზნით ენერგოკორიდორი სადაზვერვო თხრილებით იქნა შემოწმებული.

KP 118-ე კილომეტრზე ექვსი თხრილი იქნა გავლებული:

**№ 1 თხრილი** ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 3,4-2,8 მ-თაა დაცილებული. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე 12,8 მ-ია, სიგანე 2,5 მ ; „ტოპ სოილის“ დონიდან თხრილის სიღრმე 0,6 მ-ია. თხრილში არქეოლოგიური ძეგლი არ დაფიქსირდა.

**№ 2 თხრილი** ენერგოკორიდორის მარჯვენა კიდიდან 1,5 მ დაცილებითაა გავლებული. დამხრობილია ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. მისი სიგრძე 4,5 მ-ია, სიგანე 2,5 მ ; სიღრმე, „ტოპ სოილის“ დონიდან - 0,3 მ-ია. თხრილში არტეფაქტები დადასტურებული არ ყოფილა.

**№ 3 თხრილი** ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 11,0 მ-თაა დაცილებული. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე 6,0 მ-ია, სიგანე 1,4 მ ; სიღრმე, „ტოპ სოილის“ დონიდან - 0,4 მ.

თხრილში არქეოლოგიური ძეგლი არ დადასტურებულა.

**№ 4 თხრილი** ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 2,0 მ-თაა დაცილებული. დამხრობილია ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. სიგრძე 6,0 მ-ია, სიგანე 1,5 მ; „ტოპ სოილის“ დონიდან თხრილის სიღრმე 0,3 მ-ია.

თხრილში არქეოლოგიური ძეგლი არ დადასტურებულა.

**№ 5 თხრილი** გავლებულია ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ კიდესთან. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე 5,0 მ-ს, სიგანე - 0,5 მ-ს უდრის.

თხრილში არტეფაქტები არ დადასტურებულა.

**№ 6 თხრილი** გავლებულია ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 3,5 მ დაცილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე 7,0 მ-ია, სიგანე 2,0 მ. თხრილის სიღრმე, „ტოპ სოილის“ დონიდან 0,8 მ-ია, ცენტრალურ ნაწილში თხრილი 0,3 მ-ით დაღმავდა. ამ დონეზე (1,1 მ სიღრმე) თიხის ჭურჭლის ნატეხი აღმოჩნდა. სამუშაო დროის სიმცირის, თხრილის გარშემო მიწის დიდი მასის არსებობის და თხრილის სივიწროვის გამო გათხრები ამ დონეზე იქნა შეჩერებული. „ტოპ სოილის“ დონიდან 0,3 მ სიღრმეზე რკინის ნივთის (დანა ?) ფრაგმენტები დაფიქსირდა.

თხრილი ამ მდგომარეობაში დაკონსერვდა. არსებული მონაცემებით ძნელია ძეგლის სასიათის და დაცულობის განსაზღრა. ამიტომ საჭიროა ამ თხრილის გაფართოვება და უძრავ ფენამდე გათხრა.

KP 119-ე კილომეტრზე სამი თხრილი იქნა გავლებული.

**№ 1 თხრილი** ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 13,0 მ-ითაა დაცილებული. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე 27,0 მ-ია, სიგანე 3,8 მ. სიღრმე 0,4-0,5 მ. თხრილში უსისტემოდ განლაგებული ქვები დაფიქსირდა. მათ შორის ობსიდიანის რამდენიმე ანატკეცი აღმოჩნდა.

თხრილში არქეოლოგიური ძეგლი არ აღმოჩნდა.

**№ 2 თხრილი** გავლებულია ენერგოკორიდორის მარჯვენა კიდიდან 4,5 მ დაცილებით. დამხრობილია ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. მისი სიგრძე 4,3 მ-ია, სიგანე – 2,0 მ, სიღრმე 0,4 მ.

თხრილში არტეფაქტები არ აღმოჩნდა.

**№ 3 თხრილი** ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 12,2 მ-თაა დაცილებული. მისი სიგრძე 17,0 მ-ს, სიგანე 2,2 მ-ს, სიღრმე 0,3-0,5 მ-ს უდრის.

თხრილში არქეოლოგიური ძეგლი არ დადასტურდა.

### **BP-ის გაეგზავნა შემდეგი დასკვნა**

1. KP 118-ზე გავლებულ №№ 1-5 თხრილებში არქეოლოგიური ძეგლები არ დადასტურდა.
2. KP 118+635-ზე გავლებულ № 6-ე თხრილი საჭიროებს დამატებით შემოწმებას.
3. KP 119+020-სა და KP 119+100-ს შორის გავლებულ თხრილებში არქეოლოგიური ძეგლები არ დადასტურდა.

### **რეკომენდაცია BP-ის**

KP 118-სა KP 119+100-ს შორის მოქცეულ მონაკვეთებში სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია.

KP 118+635-ზე გავლებული № 6 თხრილის დამატებითი შემოწმება მილების შედუდების შემდეგაც არის შესაძლებელი.

## 2005 წლის იგნისში ჩატარებული სამუშაოები

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია საველე სამუშაოებს საფარ-ხარაბას სამაროვანზე აწარმოებდა, რომელიც KP 119+550-სა და KP 120+500-ს შორისაა მოქცეული. საველე სამუშაოების დაწყებამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა იყო საჭირო (ი. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 25-28 მარტს ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში). მათი ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით ჩვენ მივმართეთ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტიას და BP-ის არქეოლოგიურ სამსახურს, როლის შემოკლებულ ვარიანტს ქვემოთ წარმოვადგენ:

„ექსპედიციამ ამ ტერიტორიის შესწავლა 2003 წელს დაიწყო და 29 სამარხი გათხარა. 2004 წელს კი მხოლოდ ორი (№№ 30, 31) სამარხი გათხარა. აღნიშნულ წლებში შესწავლილ იქნა ნავთობის მიღის ზონაში მოქცეული ძეგლები. ცალკეულ მონაკვეთებზე სამანქანო გზის ნაწილიც განთავისუფლდა ძეგლებისაგან.

2003-2004 წწ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ KP 119+550-სა და KP 120+500-ს შორის მოქცეული მონაკვეთი ვრცელი სამაროვნის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. ენერგოკორიდორში მაშინვე დაფიქსირდა 80-მდე სამარხი, რომელთაგან, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ 31 გაითხარა. გაუთხრელი სამარხების ნაწილზე გეოტემპილი იქნა დაფარებული და ხრეშით დაიფარა. ამდენად მაშინვე ცხადი იყო, რომ სამაროვანი გაზსადენის ზოლსაც მოიცავდა (სურ. 4).

2005 წლის გაზაფხულზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადასტურდა, რომ KP 119+750-სა და KP 120+500-ს შორის მოქცეული სამაროვანი ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილშიც გრძელდება და მთლიანად მოიცავს მას. წინასწარული მონაცემებით, ტოპ-სოილის მოხნისას, გამოვლიდა კიდევ 52 სამარხის ქვაყრილი. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მცირე ზომის, მიჯრით განლაგებული ქვაყრილი ერთი სამარხის ყრილს წარმოადგენდეს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი სამარხის ქვაყრილი შედარებით ღრმადაა გამართული და იმ სიღრმეზე სადამდეც მოხდა ჰუმუსის აღება ისინი არ გამოჩნდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამარხთა ნაწილს ქვაყრილი არ გააჩნია.

ყოველივე ამის გამო, მიმართია, რომ ენერგოკორიდორში უფრო მეტი სამარხია მოქცეული, ვიდრე ჩვენს მიერ იქნა ამჯერად დაფიქსირებული. სამარხების ნაწილი უშუალოდ ექცევა გაზის მილის ჩასადებად გათვალისწინებულ ზონაში, ერთი ნაწილი სამანქანო გზის ქვეშაა მოქცეული, მეორე ნაწილი კი იმ ზოლშია სადაც ტრანშეიდან ამოყრილი მიწა უნდა დაყაროს და მძიმე ტექნიკის მუშაობა ივარაუდება.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, აუცილებელია ენერგოკო-რიდორის 119+500 და 120+500 კილომეტრებს შორის გამოვლენილი ყველა სამარხის შესწავლა. საველე სამუშაოები შეიძლება წარიმართოს ეტაპობრივად.

საველე სამუშაოების დაწყებამდე გადასაწყვეტი იქნება ის პრობლემებიც, რომლებიც გათხრების მოკლე ვადებში ჩატარების შემთხვევაში დადგება. კერძოდ:

1. მიწის დასაწყობების პრობლემა.

BP-იმ უნდა გამოყოს, ან მიგვითითოს იმ ადგილზე, სადაც მოხდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამოღებული მიწის დაყრა.

KP 119+750-სა და KP 120+350-ს შორის წარმოებული სამუშაოებისათვის ეს პრობლემა შეიძლება შედარებით ადვილად გადაწყდეს. ხოლო KP 120+350-სა და KP 120+460-ს შორის ამოღებული მიწისათვის ალბათ სპეციალური რეჟიმი იქნება დასადგენი. თუმცა ამ მონაკვეთში არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობის მილისათვის გაჭრილი თხრილის მიწით შევსების შემდეგაც შეიძლება ჩატარდეს.

2. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების პერიოდში, სამარხების გამოვლენის, ამოღებული მიწის გატანის და სადრენაჟო სისტემის მოწყობის მიზნით აუცილებელია ტექნიკის დახმარება.

3. KP 119+750-სა და KP 120+350-ს გაზის მილების დაწყობის და შედების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს არქეოლოგიური ძეგლების გათხრის შესაძლებლობა.

4. იმ შემთხვევაში თუ სამშენებლო სამუშაოები შეაფერებს სამარხის შესწავლის დასრულებას, უნდა გამოინახოს სამუშაოების დასრულების შესაძლებლობა.

5. სასურველია KP 119+750-სა და KP 120+350-ს შორის მოქცეული ძეგლების გათხრა მოხდეს წლის შედარებით მშრალ მონაკვეთში.

6. არქეოლოგიური ძეგლების გაზაფხულზე გათხრის შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნება, რომ ხშირმა ატმოსფერულმა ნალექებმა

შეიძლება შეაფერხონ საველე სამუშაოები. ამასთან უარყოფითად იმოქმედონ ძეგლების შესწავლის ხარისხზე და მეთოდიკის დაცვაზე. ასეთი და სხვა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია გამოვლენილი სამარხების გადახურვა და ისეთი სადრენაჟო სისტემის მოწყობა, რომელიც გამორიცხავს სამარხი კამერების წყლით შევსებას.

ენერგოკორიდორის 119-ე და 121-ე კილომეტრებს შორის მოქცეულ მონაკვეთებზე დღეისათვის ჩატარებული სამუშაოები მიუთითებენ, რომ კიდევ დიდი მასშტაბის სამუშაოებია ჩასატარებელი.

სამუშაობის დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამაროვნის დიდ ფართობზე გავრცელების მიუხედავად სამუშაო მოედანზე გათხრების ჩატარება მაინც შეზღუდულია. ეს გამოწვეულია იმის გამო, რომ ენერგოკო-რიდორში მოქცეული სამაროვანი სამხრეთიდან შემოზღუდულია შესაძლებლად გამზადებული გაზის მილებით, ჩრდილოეთიდან კი კერძო პირების ნაკვეთები აკავს.

შექმნილი მდგომარეობის გამო ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე სამუშაოები ეტაპობრივად უნდა ჩატარდეს. გათხრების წარმოების გადები, ექსპლიციის წევრებისა და მუშების რაოდენობა განსაზღვრულია ზემოთ აღწერილი სიტუაციიდან და გათხრის მეთოდიკის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე.

**პირველ ეტაპზე** სამუშაოები სამ უბანზე ერთდროულად შეიძლება წარიმართოს. უბნები, გასათხრელი ფართობის, ძეგლების ხასიათისა და სიმჭიდროვის მიხედვით, შეიძლება შემდეგნაირად დანაწილდეს:

**I უბანი** იქნება KP 119+750-დან KP 120+150-მდე, რომელიც მოიცავს საფარ-ხარაბას სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილს.

**II უბანი** მოექცევა KP 120+150-სა და KP 120+350-ს შორის. ეს მონაკვეთი სამაროვნის ერთ-ერთ ინტენსიურად ათვისებულ უბანს წარმოადგენს და მისი ცალკე უბნად ჩამოყალიბება მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

**III უბანი** KP 120+350-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთზე გამოვლენილი სამარხების ტერიტორიაზე შეიქმნება.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სამაროვნის ამ მონაკვეთზე ნავთობის მილის ჩადებასთან დაკავშირებული სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა. ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ მხარეს კი მიწის მაღალი ზეინულია. ორივე ეს

გარემობა არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას ზღუდავს. ამიტომ, ამ უბნის გათხრა სპეციფიკური მეთოდიების დაცვით უნდა განხორციელდეს.

**პირველ ეტაპზე** სამივე უბანზე ერთდროულად მოხდება ქვაყრილების გასუფთავება, მოისინჯება ყველა ის ადგილი, სადაც სამარხების გამოჩენაა მოსალოდნელი, ყველა სამარხი მომზადდება გასახსნელად. სამუშაოების შესრულებას სავარაუდოდ სამი კვირა (21 სამუშაო დღე) მოუნდება.

**მეორე ეტაპზე** მოხდება გამოვლენილი ყველა სამარხის პრეპარაცია. სამუშაოებს სავარაუდოდ ოთხი კვირა (28 სამუშაო დღე) დასჭირდება.

**მესამე ეტაპის** სამუშაობი ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული გზის ქვეშ მოქცეული სამარხების შესწავლას უნდა დაეთმოს. ამ სამუშაოების დაწყება მოგვიანებით, ამ კილომეტრნიშნულზე (KP 120+350-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეული მონაკვეთი) ნავთობისა და გაზის მიღების ოხრილებში ჩადების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**პირველი ეტაპის** სამუშაოების ჩასატარებლად თითოეულ უბანზე საჭირო იქნება ერთი არქეოლოგი, ერთი ასისტენტი, 16 მუშა და სხვა სპეციალისტები (21 სამუშაო დღე). ამდენად ექსპედიცია შეიძლება შემდეგნაირად დაკომპლექტდეს:

1. ხელმძღვანელი.
2. მოადგილე
3. არქეოლოგი - 3.
4. ასისტენტი - 3.
5. მენეჯერი - 1.
6. არქიტექტორი - 2.
7. ტოპოგრაფი - 1.
8. მძღოლი - 3.
9. მზარეული - 2.
10. დარაჯი - 2.
11. მუშა - 48.

**მეორე ეტაპის** სამუშაოების შესარულებლად თითოეულ უბანზე საჭირო იქნება ორი არქეოლოგი, ორი ასისტენტი, 8 მუშა და შესაბამისი სპეციალისტები (28 სამუშაო დღე). ამდენად, ექსპედიცია შეიძლება შემდეგნაირად დაკომპლექტდეს:

1. ხელმძღვანელი.
2. მოადგილე

3. არქეოლოგი - 6.
4. ასისტენტი - 6.
5. მენეჯერი - 1.
6. არქიტექტორი - 3.
7. ტოპოგრაფი - 1 (14 დღე).
8. ანთროპოლოგი - 1 (21 დღე).
9. პალეობიოლოგი - 1 (14 დღე).
10. მძღოლი - 4.
11. მზარეული - 3.
12. დარაჯი - 3.
13. მუშა - 24.

**ამასთან, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამუშაო დროის, საჭიროების შემთხვევაში, გაგრძელება“.**

ჩვენს მიერ წარმოდგენილი გეგმა გაზიარებულ იქნა ადრესატების მიერ და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ექსპედიცია სამაროვნის ენერგოკორდიროში მოქმედებული ნაწილის შესწავლას შეუდგა.

ექსპედიცია № C-03-BTC-52923 HL-139 და HL-148 ხელშეკრულებების საფუძველზე საგელე სამუშაოებს KP 118+500-დან KP 119+100-ის ჩათვლით აწარმოებდა. ჩვენს მიერ შეთავაზებული პირველი ეტაპის სამუშაოები ორი კონტრაქტის საფუძველზე განხორციელდა:

პირველი კონტრაქტის მიხედვით სამუშაოები **1-16 ივნისს** (14 სამუშაო დღე) მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი - ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი - მოადგილე, არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი - არქეოლოგი.
4. მურვანიძე ბიძინა - არქეოლოგი.
5. ნიორაძე მედეა - არქეოლოგი.
6. გაბუნია მანანა - არქეოლოგი.
7. კალანდაძე კარლო - ასისტენტი.
8. კვაჭაძე მარინე - ასისტენტი.
9. კახიანი კახა - ასისტენტი.
10. გიუნაშვილი გელა - ასისტენტი.
11. კვიციანი ელდარი - მენეჯერი.
12. ტატიშვილი გოორგი - არქიტექტორი.

13. ჭიჭინაძე გელა – არქიტექტორი.
14. დუმბაძე დავითი – არქიტექტორი.
15. კვიციანი კესო – მზარეული.
16. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
17. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.
18. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
19. მუსხიევი ალექსი - მძღოლი.
20. ქარიბოვი ბორისი – მძღოლი.
21. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.
22. მურადოვი დიოგენე – დარაჯი.

მეორე კონტაქტით საფუძველზე სამუშაოები 18-25 ივნისს (7 სამუშაო დღე) ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
4. ჩართოლანი შოთა - არქეოლოგი.
5. გამყრელიძე გელა – არქეოლოგი.
6. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი.
7. კახიანი კახა – ასისტენტი.
8. ბერაძე ეთერი – ასისტენტი.
9. ჯიქია ლაშა - ასისტენტი.
10. ქურდაძე მარინე - მენეჯერი.
11. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
12. ჭიჭინაძე გელა – არქიტექტორი.
13. კვიციანი კესო – მზარეული.
14. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
15. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.
16. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
17. მურვანიძე ბიბინა - მძღოლი.
18. მუსხიევი ალექსი – მძღოლი.
19. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.
20. მურადოვი დიოგენე – დარაჯი.

ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე ექსპედიციამ გათხრები 2003-2005 წლებშიც ჩაატარა (იხ. შესაბამისი წლების ანგარიშები). ეს სამუშაოები ძირითადად ენერგოკორიდორის სამხრეთ ნაწილში მიმდინარეობდა, იქ სადაც ნავთობის მიღი ჩაიდო.

ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში, „ტოპ-სოილის“ მოხსნის სამუშაოებთან დაკავშირებით, ექსპედიციამ BP-ის საველე ოფიცრებთან ერთად 2005 წლის 25-28 მარტს ერთობლივი მონიტორინგი ჩაატარა. 118-119-ე კილომეტრებს შორის მოქცეულ ფართობზე შემდეგი სიტუაცია დაფიქსირდა:

1. KP 118+635-ზე გამოვლინდა ყორდანული (?) სამარხის ქვაყრილი.
2. KP 119+090-ზე შეინიშნება სუსტად გამოხატული ქვაყრილი, რომელიც დიდ ფართობზე ვრცელდება. მიწის სამუშაობის დროს ბულდოზერმა ამ ადგილიდან ამოილო ბაზალტის დიდი ფილა, რომელიც შესაძლებელია სამარხის სახურავს წარმოადგენდეს. ეს ფილა დღეისათვის ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ კიდეზე დგევს.

რამდენადაც აღნიშნულ მონაკვეთებზე დადასტურებული ქვების კონცენტრაციის ადგილები არქეოლოგიურ შემოწმებას ითხოვდა, ექსპედიცია 25 აპრილს შეუდგა საველე სამუშაოებს. უამინდობის გამო ექსპედიცია სამუშაოების დაწყებიდან მესამე დღეს იძულებული იყო შეეწყვიტა მუშაობა. საველე სამუშაოები განახლდა 4 მაისს.

ენერგოკორიდორს 118-119-ე კილომეტრებზე გადაკვეთილი აქვს გაუქმებული გზა, რომელიც სოფ. ბაშქოის სოფ. საფარ-ხარაბასთან აკავშირებდა. ეს გზა ქვით იყო მოკირწყლული და მისი მოხსნის შემდეგ ენერგოკორიდორში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შედეგად გაჩნდა ქვების კონცენტრაციის ადგილები. ამდენად ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ქვაყრილების დანიშნულების გარკვევა. ამ მიზნით ენერგოკორიდორის KP 118-ე კილომეტრზე ექვსი თხრილი იქნა გავლებული, სადაც არქეოლოგიური ძეგლები დადასტურებული არ იქნა. მხოლოდ ერთი, № 6 თხრილში შეინიშნებოდა არტეფაქტების კონცენტრაციის ადგილები. ამიტომ მოვიტანო მის აღწერილობას:

**№ 6 თხრილი** გავლებულია ენერგოკორიდორის ჩრდილოეთი კიდიდან 3,5 მ დაცილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე 7,0 მ-ია, სიგანე 2,0 მ. თხრილის სიღრმე, „ტოპ სოილის“ დონიდან 0,8 მ-ია, ცენტრალურ ნაწილში თხრილი 0,3 მ-ით დაღმავდა. ამ დონეზე (1,1 მ სიღრმე) თიხის ჭურჭლის ნატეხი აღმოჩნდა. სამუშაო დროის სიმცირის,

თხრილის გარშემო მიწის დიდი მასის არსებობის და თხრილის სივიწროვის გამო გათხრები ამ დონეზე იქნა შენერებული. „ტოპ სოილის“ დონიდან 0,3 მ სიღრმეზე რკინის ნივთის (დანა ?) ფრაგმენტები დაფიქსირდა.

თხრილი ამ მდგომარეობაში დაკონსერვდა. არსებული მონაცემებით ძნელი იყო ძეგლის სასიათის და დაცულობის განსაზღრა. ამიტომ ეს თხრილი გაფართოვდა და უძრავ ფენამდე გაითხრა. არქეოლოგიური ძეგლი არ იქნა დადასტურებული.

## საფარ-ხარაბას სამაროვანი

ძირითადი სამუშაოები KP 119+750-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთზე (I-III უბნები) გამოვლენილი სამარხების შესწავლის და ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლების მიზნით წარიმართა.

გაზსადენის ინ მონაკვეთის საერთო სიგრძე სადაც სამარხები იქნა დაფიქსირებული 1200 მ-ს აღწევს. სამარხთა ძირითადი კონტენცრაციის ადგილების მიხედვით მთელი ეს მონაკვეთი, როგორც დაგეგმილი გვქონდა, სამ უბნად დაიყო (სურ. 4-5).

I უბანი KP 119+750-დან KP 120+150-მდე გრძელდება, რომელიც მოიცავს საფარ-ხარაბას სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილს (სურ. 6, 90). დღეისათვის გამოვლენილია 19 სამარხის (№№ 73-91) ქვაყრილი და სამარხი კამერის შევსების შედეგად წარმოქმნილი ლაქა (სურ. 79-81, 94-99).

II უბანი მოექცა KP 120+150-სა და KP 120+350-ს შორის. ამ მონაკვეთზე 21 სამარხის (№№ 52-72) ქვაწრე, ქვაყრილი და სამარხის ნაშთია დაფიქსირებული (სურ. 12, 13, 15, 17, 20-24, 29, 44, 50, 56).

III უბანი KP 120+350-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეულ ტერიტორიას მოიცავს. გამოვლენილია 20 სამარხი (№№ 32-51).

ამდენად, ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში დღეისათვის 60 სამარხია დაფიქსირებული (სურ. 8, 9, 18, 19, 30, 55-65).

საველე სამუშაობის პირველი ეტაპი ენერგოკორიდორში მოქცეული სამარხების რაოდენობის გარკვევას და მათი ყრილების გამოვლენას ითვალისწინებდა.

2003-2004 წწ ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ სამაროვანი ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთში 1200 მ სიგრძეზე გრძელდება. არმოსავლეთით მდებარე უკიდურესი სამარხი KP-119+500-ზე მდებარეობს. ამ კილომეტრიშის უკიდურესი სამარხი KP-119+750-მდე გაზსადენის მონაკვეთში სამარხთა ქვაყრილები ტოპ-სოილის მოხსნისას არ დაფიქსირდა. ქვაყრილები არ გამოჩენდა. ეს მონაკვეთები BP-ის მიერ ჩვენთვის გამოყოფილი გლუვციცხვიანი ექსკავატორის მაშველით იქნა შემოწმებული. KP-119+500-დან KP-119+750-მდე გაიჭრა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი, 2,0 მ სიგანის და 3-5 მ სიგრძის თხრილები იქნა გავლებული. ამ მონაკვეთში სამარხთა ქვაყრილები არ დაფიქსირებულა.

KP-120+100-სსა და KP-120+150-ს შორის გავლებულ თხრილში ორი სამარხი გამოვლინდა.

სამაროვნის მთელ ტერიტორიაზე აღებულ იქნა 0,1-0,4 მ სისქის მიწის ფენა, გამოკვეთილია და ნაწილობრივ პრეპარირებული სამარხათა დიდი ნაწილი.

პირველ უბანზე მიმდინარეობს №№ 88-90 სამარხი კამერების პრეპარაცია, მეორე უბაზე მიმდინარეობს №№ 71,84,85, ხოლო მესამე უბანზე ხდება ქვაყრილების გაწმენდა.

### **BP-ის გაეგზავნა შემდეგი დასკგნა**

1. KP 118+635-ზე გავლებულ № 6-ე თხრილში არქეოლოგიური ძეგლები არ დადასტურდა.
2. KP 119+750- ზე (I უბანი) გამოვლენილია სამარხთა ჯგუფი (№№ 88-91), ამიტომ გაზის მილისათვის თხრილის გაჭრა, მათი გათხრის შემდეგაა შესაძლებელი.
3. KP 119+750-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთზე (II-III უბნები) გამოვლენილია 50-მდე სამარხი, სამშენებლო სამუშაოების წარმოება მხოლოდ მათი გათხრის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

### **რეკომენდაცია BP-ის**

KP 118-სა KP 119+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთებში სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია.

KP-119+750-სსა და KP-120+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთში გამოვლენილია სამაროვანი. ამ მონაკვეთში სამშენებლო სამუშაოების განახლება მხოლოდ ენერგოკორიდორის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**2005 წლის 7 ივნისიდან 12 აგვისტომდე ჩატარებული  
სამუშაოები**

**შესავალი**

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია სავალე სამუშაოებს საფარ-ხარაბას სამართვაზე (KP 119+550-სა და KP 120+500-ს შორის) აგრძელებდა.

სამუშაოები სამ ეტაპად იყო დაგეგმილი (იხ. 2005 წლის ანგარიშები):

**პირველ ეტაპზე** სამუშაოები სამ უბანზე (I უბანი - KP 119+750-დან KP 120+150-მდე; II უბანი - KP 120+150-სა KP 120+350-ს შორის; III უბანი KP 120+350-დან KP 120+500-მდე) ერთდროულად წარიმართა.

**პირველ ეტაპზე**, რომელიც 21 დღეს გრძელდებოდა სამივე უბანზე მოხდა ქვაყრილების გასუფთავება. მოისინჯა ის ადგილებიც, სადაც სამარხების გამოჩენა იყო მოსალოდნელი. 2005 წლის 25-28 მარტს [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 25-28 მარტს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. გვ. 4] და ა.წ. 1-25 ივნისს [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 2] ჩატარებული სამუშაოების შედეგად ენერგოკორიდორში 52 ქვაყრილი დაფიქსირდა (N<sup>o</sup>N<sup>o</sup> 33-84).

პირველი ეტაპის სამუშაობისას გამოვლინდა კიდევ 6 სამარხი (N<sup>o</sup>N<sup>o</sup> 85 – 90). სულ გამოვლენილი იქნა 58 სამარხი (N<sup>o</sup>N<sup>o</sup> 33 - 90).

58-ვე ქვაყრილს ჩაუტარდა პრეპარაცია. სამარხები მომზადდა გასახსნელად. მოხდა მათი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია. შედგა გენგეგმა.

**მეორე ეტაპზე** გათვალისწინებული იყო ყველა სამარხის გათხრა. თავდაპირველი გეგმის მიხედვით [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში, გვ. 6-7] სამუშაოებისათვის სავარაუდოდ ოთხი კვირა (28 სამუშაო დღე) განისაზღვრა.

ჩვენს მიერ სამუსაოების დაწყებამდე შემოთავაზებული გეგმა გათვლილი იყო წინასწარულ მონაცემებზე, რომლის მიხედვითაც გასათხრელი იყო 52 სამარხი. პირველ ეტაპზე ამ რაოდენობას 6 სამარხი დაემატა, მეორე ეტაპზე კიდევ 6 სამარხი (N<sup>o</sup>N<sup>o</sup> 91 – 96) გამოვლინდა. ამდენად გასათხრელი სამარხების საერთო რაოდენობამ 63-ს მიაღწია.

2005 წლის 11 აგვისტოსათვის გათხრილია 39 სამარხი. გასათხრელი დარჩა №№ 33, 35-40, 42, 44-47, 49-53, 55, 56, 59, 60, 66, 70, 73 სამარხები (სულ 24 სამარხი). აღსანიშნავია, რომ №№ 46, 66 და 70 სამარხების ქვაყრილების მხოლოდ სამხრეთი ნაწილი მოქმედი ენერგოკორიდორში, ხოლო მათი დასაკრძალავი კამურები კი ენერგოკორიდორის გარეთ, ჩრდილოეთით მდებარეობს. №№ 37, 39 და 40 სამარხები კი ენერგოკორიდორის ზონაშია გამოვლენილი, მაგრამ მათ „ტოპ-სოილი“ მიწაზვინულად აყრია, რის გამოც მათი გათხრა ამ ეტაპზე შეუძლებელია (სურ. 54-55).

ამდენად, სამაროვანზე გასათხრელია 21 სამარხი, რომელთაგან მხოლოდ 18-ზე შეიძლება სამუშაოების ჩატარება.

თავდაპირველი გეგმა **მესამე ეტაპის** სამუშაოების ჩატარებასაც ითვალისწინებდა [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 6]. ამ ეტაპზე ჩვენ ვგულისხმობდით ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული ტექნიკური გზის (KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის) ქვეშ მოქცეული სამარხების შესწავლას.

ამ მონაკვეთისა და №№ 37, 39, 40 სამარხების შესწავლა ნავთობისა და გაზის მილების თხრილებში ჩადების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

\* \* \*

ექსპედიცია, №№ C-03-BTC-52923 HL-150, HL-155 და HL-163 ხელშეკრულებების საფუძველზე, **მეორე ეტაპით** გათვალისწინებულ სავალე სამუშაოებს 27 ივნისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით აწარმოებდა.

**მეორე ეტაპის** სამუშაოები სამი კონტრაქტის (№ C-03-BTC-52923 HL-150, HL-155 და HL-163) საფუძველზე განხორციელდა:

**პირველი კონტრაქტის** (№ C-03-BTC-52923 HL-150) მიხედვით სამუშაოები 27 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით (9 სამუშაო დღე) მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
4. ჩიხლაძე ვერა – არქეოლოგი.
5. მარგველაშვილი მაყვალა - არქეოლოგი.
6. გამყრელიძე გელა – არქეოლოგი.

7. კილურაძე ნინო – არქეოლოგი.
8. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი.
9. სულთანიშვილი ირინე – ასისტენტი.
10. ახვლედიანი ნინო – ასისტენტი.
11. პაჭიკაშვილი ნაზი – ასისტენტი.
12. მაღრაძე ლეიილა – ასისტენტი.
13. მურვანიძე ბიძინა – ასისტენტი.
14. ბენაშვილი ნანა – მენეჯერი.
15. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
16. ოქრუაშვილი ნინო – არქიტექტორი.
17. ყვავაძე ელისო – პალინოლოგი.
18. ბითაძე ლია – ანთროპოლოგი.
19. ბერაძე ეთერი – მზარეული.
20. კვიციანი კესო – მზარეული.
21. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
22. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
23. მუსხიევი ალექსი – მძღოლი.
24. კახიანი კახა – მძღოლი.
25. ხერუმიშვილი მალხაზი – მძღოლი.
26. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.
27. მურადოვი დიოგენე – დარაჯი.
28. კურდოვი სპიროსი – დარაჯი.

**მეორე კონტრაქტით** (№ C-03-BTC-52923 HL-155) საფუძველზე  
სამუშაოები 7-14 ივლისს (7 სამუშაო დღე) უნდა ჩატარებულიყო.  
ნავთობსადენის მიღის ტესტირებასთან დაკავშირებით BP-ს თხოვნით 11  
ივლისს არქეოლოგიური სამუშაოები შეწერდა. სამართვის გათხრები 27  
ივნისს განახლდა და 29 ივლისს დამთავრდა.

სავალე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
4. გრიგოლია გურამი – არქეოლოგი.
5. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი.
6. ჩიხლაძე ვერა – არქეოლოგი.

7. მარგველაშვილი მაყვალა – არქეოლოგი.
8. ტურიაშვილი დარეჯანი – ასისტენტი.
9. პაჭიგაშვილი ნაზი – ასისტენტი.
10. ჭელიძე ლიდა – ასისტენტი.
11. მანჯგალაძე გიორგი – ასისტენტი.
12. ქსაკია ვერა – ასისტენტი.
13. ღლიღვაშვილი ელგუჯა – ასისტენტი.
14. ბერნაშვილი ნანა – მენეჯერი.
15. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
16. სირაძე გიორგი – არქიტექტორი.
17. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.
18. ყვავაძე ელისო – პალინოლოგი.
19. ბითაძე ლია – ანთროპოლოგი.
20. გვიციანი კესო – მზარეული.
21. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
22. მამულაშვილი ნინო – მზარეული.
23. ნარიმანიშვილი რევაზი – მდღოლი.
24. ხერუმიშვილი მალხაზი – მდღოლი.
25. მუსხიევი ალექსი – მდღოლი.
26. ქარიბოვი ბორისი – მდღოლი.
27. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.
28. მურადოვი დიოგენე – დარაჯი.
29. კურდოვი სპიროსი – დარაჯი.

**შესამე კონტრაქტის** (№ C-03-BTC-52923 HL-163) მიხედვით სამუშაოები 30 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით (12 სამუშაო დღე) მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერმი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
4. გრიგოლია გურამი – არქეოლოგი (7 დღე).
5. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი.
6. ლორთქიფანიძე გურამი – არქეოლოგი (7 დღე).
7. ჯაფარიძე ოთარი – არქეოლოგი (7 დღე).
8. მურვანიძე ბიძინა – არქეოლოგი (5 დღე).

9. მარგველაშვილი მაყვალა – არქეოლოგი (5 დღე).
10. მანჯგალაძე გიორგი – არქეოლოგი (5 დღე).
11. მურვანიძე ბიძინა – ასისტენტი (7 დღე).
12. ტურიაშვილი დარეჯანი – ასისტენტი.
13. პაჭიკაშვილი ნაზი – ასისტენტი (5 დღე).
14. ქვაჭაძე მარინე – ასისტენტი.
15. გიუნაშვილი გელა – ასისტენტი.
16. ესაკია ვერა – ასისტენტი.
17. თურმანიძე მირანდა – ასისტენტი.
18. ბენაშვილი ნანა – მენეჯერი.
19. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
20. ყაზახიშვილი თინათინი – არქიტექტორი.
21. ყვავაძე ელისო – პალინოლოგი (5 დღე)..
22. ბითაძე ლია – ანთროპოლოგი (5 დღე)..
23. გვიციანი კესო – მზარეული.
24. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
25. მამულაშვილი ნინო – მზარეული.
26. ნარიმანიშვილი რეგაზი – მძღოლი.
27. ჯალაბაძე არჩილი – მძღოლი.
28. მუსხიევი ალექსი – მძღოლი.
29. ქარიბოვი ბორისი – მძღოლი.
30. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.
31. მურადოვი დიოგენე – დარაჯი.

## საფარ-ხარაბას სამაროვანი

მეორე ეტაპის სამუშაოები KP 119+750-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთზე (I-III უბნები) გამოვლენილი სამარხების შესწავლისა და ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლების მიზნით წარიმართა.

გათხრები სამ უბანზე მიმდინარეობდა:

I უბანზე (KP 119+750-დან KP 120+150-მდე) გამოვლენილი 20 სამარხის (№№ 73-92) შესწავლა დასრულებულია.

II უბანზე (KP 120+150-სა და KP 120+350-ს შორის) 24 სამარხის (№№ 52-72, 93-95) ქვაწრე, ქვაყრილი და სამარხის ნაშთი დაფიქსირდა, რომელთაგან გაითხარა 16, გასათხრელია – 8 (№№ 52, 53, 55, 56, 59, 60, 66, 70).

III უბანზე (KP 120+350-სა და KP 120+500-სს შორის) გამოვლენილია 19 სამარხი (№№ 33-51). დღეისათვის გათხრილია 3 სამარხი (№№ 34, 41, 43); გასათხრელია 16 (№№ 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51).

ამდენად, ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში დღეისათვის 63 სამარხია დაფიქსირებული. გათხრილია 39, გასათხრელია 24.

2005 წლის 10 აგვისტოს II უბანზე კიდევ ორი სამარხი (№№ 96, 97) დაფიქსირდა.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე დღეისათვის გამოვლენილი ყველა სამარხი ქვაყრილიან ორმოსამარხს წარმოადგენს (სურ. 14, 15, 18, 19, 37, 49, 65, 66).

სამარხი კამერების თავზე წრიული ქვაყრილებია გამართული, რომელთა დიამეტრი 4-12 მ-ს უდრის. ქვაყრილები უმეტეს შემთხვევაში რიყის წვრილი ქვებითაა შედგენილი და ბაზალტის დიდი ქვებით გამართული კრომლეხების შიდა სივრცეს მთლიანად ფარავს. კრომლეხთა ერთ ნაწილს მხოლოდ სამარხი კამერის თავზე აქვს წვრილი ქვების ყრილი (სურ. 15).

სამარხი კამერები ხის ძელებით, ან ქვის ფილებითაა გადახურული (სურ. 20, 22-24).

კრომლეხთა აბსოლიტური უმრავლესობის ცენტრში ერთი სამარხი კამერაა გამართული (სურ. 15, 37, 74), რომელშიც ერთი მიცვალებულია ჩასვენებული. გამონაკლისს წარმოადგენს № 67 და № 68 სამარხები (სურ. 49-51), რომლთაც ერთი კრომლეხი საზღვრავს (სურ. 50). № 67 სამარხში ერთი ზრდასრული მიცვალებულია (ქალი - 20-25 წლის) ჩასვენებული (სურ. 51, 52), ხოლო № 68 სამარხში კი ზრდასრულ (18 წლის) მიცვალებულთან ერთად,

სამი ბავშვის (9, 11, 12 წლის) ჩონჩხი ადმოჩნდა (სურ. 53). კოლექტიური სამარხი საფარ-ხარაბას სამაროვანზე პირველად დადასტურდა.

სამაროვანზე დაკრძალული მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ხელ-ფეხი მოქაცილი აქვთ. ჩონჩხები ცუდადად დაცული.

სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. თითოეულ მიცვალებულს 1-4 ჭურჭლი აქვს ჩატანებული (სურ. 29, 30, 38, 40-42, 46, 47, 52, 89, 97). მცირე რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები. ლითონის ინვენტარი მხოლოდ ერთ სამარხშია (№ 85) აღმოჩენილი (სურ. 83-86).

მიცვალებულთა ჩონჩხები უმრავლეს შემთხვევაში შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული (სურ. 25-36, 94-99). ასეთივე მასა ფიქსირდება ჩონჩხების ქვეშაც. შავი ფერი სამარხი კამერის კედლებისაგან ყვითელი ფერის გრუნტითაა გამოყოფილი. ხშირ შემთხვევაში ასეთი ფერია წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობისაა და სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა. წინასწარული მონაცემით შავი ფერია ტყავის, ჭილობისა და ქსოვილის ნარჩენებისაგან შედგება.

№ 90 სამარხში ასეთი ლაქის გარდა, ხის კონსტრუქციის ნაშთებიც დაფიქსირდა (სურ. 96-99, 102). სამარხი დამხერობილია სამხერეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, პრაქტიკული სიზუსტით. სამარხი კამერის გრძივი კედლების გასწვრივ ორი ძელი დევს (სურ. 99), რომლებიც ერთმანეთთან ფიცრების საშუალებითაა დაკავშირებული. სამი ფიცარი მიცვალებულის ჩონჩხის ზემოთ დაფიქსირდა, ოთხი კი მის ქვეშ. ორივე შემთხვევაში ფიცრები შავი ფერის ერთგვაროვანი თხელი ფენით იყო დაფარული. ფიცრებისა და ამ ფერის გადაკვეთის ადგილები ზედაპირის სიპრიალით გამოირჩეოდა. ალაგ-ალაგ ხის წვრილი ფიცრების და ძელების ნაშთები დაფიქსირდა, რომელთაც მერქნის ძარღვებიც ეტყობოდა. მთელ ამ მასას წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. იგი სამხერეთ ნაწილში უშუალოდ ებჯინებოდა სამარხი კამერის კედელს, ჩრდილოეთით კი სიგრძივი ორი ძელი ოთხკუთხა კონსტრუქციას სცილდებოდა. ორივე ძელის თავი ფიგურული იყო. როგორც ჩანს ეს შეერილები სახელურებს წარმოადგენდა (სურ. 97-99, 102).

შემორჩენილი ნაწილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს კონსტრუქცია ჩარდახის ტიპის სარეცელს წარმოადგენს, რომლის ძარაზე მიცვალებული იყო დასვენებული. რჩება შთაბეჭდილება, რომ სამარხში,

ჩრდილოეთის მხრიდან, ჩაუდგავთ მიცვალებულიანი ჩარდახი. მიცვალებულის თავის ჩრდილოეთით, ჩარდახის სახელურების ქვეშ აღმოჩნდა შეწირული ორი ბატქანის, ფეხებით ურთიერთმიბჯენილი ჩონჩხი, თავით ჩრდილოეთიკენ (სურ. 95-99). აღსანიშნავია, რომ ბატქნების თავებთან ახლოს აღმოჩნდა ობსიდიანის ორი დანისებური ანატკეცი (სურ. 97).

KP-120+550 მონაკვეთზე, ჩამკეტი სადგურის ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისას, ქვის უსისტემო ყრილები და შავი ლაქები დაფიქსირდა. რამდენადაც ტერიტორია სამაროვნის სიახლოესაა, აქ გაივლებული იქნა სადაზვერვო თხრილები. თხრილებში არქეოლოგიური ძეგლი არ დადასტურებულა.

ენერგოკორიდორის 118-119-ე კილომეტრებზე ექსპედიციამ საანგარიშო წელს მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა.

ამ მონაკვეთზე ექსპედიციამ წინა წლებშიც იმუშავა (იხ. შესაბამისი წლების ანგარიშები).

2005 წელს ეს მონაკვეთი რამდენჯერმე შემოწმდა:

1. 2005 წლის 25-28 მარტს, „ტოპ-სოილის“ მოხსნის სამუშაოებთან დაკავშირებით, ექსპედიციამ BP-ის საველე ოფიცრებთან ერთად **KP 119+750** - დან **KP-121-მდე** ერთობლივი მონიტორინგი ჩაატარა. ამვე დროს შემოწმდა **KP-118-119** მონაკვეთი, სადაც „ტოპ-სოილის“ ფენა უკვე მოხსნილი იყო.

შემოწმების შედეგად შემდეგი სიტუაცია დაფიქსირდა: **KP 118+635-ზე** გამოვლინდა ყორდანული სამარხის (?) ქვაყრილი. **KP 119+090-ზე** შეინიშნებოდა სუსტად გამოხატული ქვაყრილი, რომელიც დიდ ფართობზე ვრცელდებოდა. მიწის სამუშაოების დროს ბულდოზერმა ამ ადგილიდან ამოაგდო ბაზალტის დიდი ფილა, რომელიც შესაძლებელია სამარხის სახურავს წარმოადგენს. ეს ფილა დღეისათვის ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ კიდეზე დგვს.

რამდენადაც აღნიშნულ მონაკვეთებზე დადასტურებული ქვების კონცენტრაციის ადგილები არქეოლოგიურ შემოწმებას ითხოვდა, ექსპედიცია 25 აპრილს შეუდგა საველე სამუშაოებს. უამინდობის გამო ექსპედიცია სამუშაოების დაწყებიდან მესამე დღეს იძულებული იყო შეეწყვიტა მუშაობა. საველე სამუშაოები განახლდა 4 მაისს და სამი დღე გაგრძელდა.

საველე სამუშაოებში მონაწილეობას იღებდა ექსპედიციის ხელმძღვანელი, ერთი არქეოლოგი და ოთხი მუშა.

ენერგოკორიდორს 118-119-ე კილომეტრებზე გადაკვეთილი აქვს გაუქმებული გზა, რომელიც სოფ. ბაშქოის სოფ. საფარ-ხარაბასთან აკავშირებდა. ეს გზა ქვით იყო მოკირწყლული, რომლის მთლიანად მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ, მიმდინარე საამშენებლო სამუშაოების დროს გამოავლინდა ქვების კონცენტრაციის ადგილები. ამდენად ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ამ ქვაყრილების დანიშნულების გარკვევა. ამ მიზნით ენერგოკორიდორის KP 118-ე კილომეტრზე ექვსი თხრილი იქნა გავლებული, სადაც არქეოლოგიური ძეგლები დადასტურებული არ იქნა. მხოლოდ ერთი, № 6 თხრილში შეინიშნებოდა არტეფაქტების კონცენტრაციის ადგილები. ამიტომ თხრილი ამ

მდგომარეობაში დაკონსერვდა. არსებული მონაცემებით ძნელი იყო ძეგლის ხასიათისა და დაცულობის განსაზღვრა.

2. 2005 წლის 5-6 ივნისს № 6 თხრილის გათხრა გაგრძელდა. იგი გაფართოვდა (5X6 მ) და უძრავ ფენამდე გაითხრა. არქეოლოგიური ძეგლი არ იქნა დადასტურებული.

3. 2005 წლის 3-5 ივლისს გაზსადენის მილების ჩასაწყობად მშენებლების მიერ გაიჭრა თხრილი.

თხრილი ყვითელ თიხნარშია გამართული, მისი სიგანე 3 მეტრამდეა, სიღრმე 2,5 მ-ს უდრის.

**KP 118+700-დან KP 119+090-მდე** მოქცეულ მონაკვეთში თხრილის ჩრდილოეთ კედელში გეომეტრიული ფორმის ექვსი შავი ლაქა დაფიქსირდა. ლაქების სიგანე 1,2-1,5 მეტრს აღწევს. მათი ნაპირები ვერტიკალურად ეშვება თხრილის ძირისაკენ. მათი სიღრმე 1,0-1,5 მ-მდეა. ერთ-ერთი ლაქა (№ 2 ) თხრილის ძირამდე ჩადის.

ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთში გამოვლენილი ლაქები შეიძლება ისეთ ორმოსამარხებს ეჯუთვნის, რომელთაც ქვაყრილი არ გააჩნიათ, ან ისინი სამშენებლო სამუშაოებისას იქნა გადაად-გილებული. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს მიერ გათხრილი ქვაყრილები, რომლებიც ამ ლაქების სიახლოეს მდებარეობენ, სწორედ ამ მიზეზითაა ადგილმონაცვლებული. თუმცა იმ ქვაფენილიანი გზის გათვალისწინებაც აუცილებელია, რომელიც ენერგოკორიდორმა გადაჭრა.

როგორც ავღნიშნეთ ექსპედიციამ ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთში მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა.

ჩვენს მიერ ამ მონაკვეთის დათვალიერების დროისათვის „ტოპ სოილის“ დონე უკვე მოხსნილი იყო. ამ დონეზე დაგვხვდა შავი ფერის მიწის ზედაპირი, სადაც შეიმჩნეოდა მეტ-ნაკლები ინტენსივობის, მაგრამ უსისტემო ქვაყრილები. ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლის არსებობის რაიმე სხვა ორიენტირი არ არსებობდა, ამიტომ შემოწმებულ იქნა მხოლოდ ის ადგილები სადაც ქვაყრილები დადასტურდა.

ფართო მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოების ჩატარებისათვის ექსპედიციას არც დრო ჰქონდა და არც თანამშრომლების რაოდენობა იძლეოდა ამის საშუალებას.

KP 118-ზე სამუშაოების დროს სამარხთა დაზიანება მიანიშნებს, რომ ყველა სახის მიწის სამუშაოებზე არქეოლოგიური მონიტორინგი აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

## BP-ს გაეგზავნა შემდეგი დასკვნა

**მეორე ეტაპზე** გათვალისწინებული იყო ყველა სამარხის გათხრა, მაგრამ მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. ეს ორი მიზეზის გამო მოხდა:

1. დიდმა წვიმებმა გასათხრელი ფართობი არაერთხელ დაიტბორა. ექსპედიციას არ ჰქონდა ტექნიკური საშუალებები და ამიტომ სადრენაჟო სისტემის მოწყობა მუშების მეშვეობით მოუხდა.

2. სამუშაოების ჩასატარებლად ჩვენს მიერ შემოთავაზებული თავდაპირველი გეგმა გათვლილი იყო წინასწარულ მონაცემებზე, რომლის მიხედვითაც გასათხრელი იყო 52 სამარხი. პირველ ეტაპზე ამ რაოდენობას 6 სამარხი დაემატა, მეორე ეტაპზე კიდევ 6 სამარხი (№№ 91 – 96) გამოვლინდა. ამდენად გასათხრელი სამარხების საერთო რაოდენობამ 63 –ს მიაღწია.

2005 წლის 11 აგვისტოსათვის გათხრილია 39 სამარხი. გასათხრელი დარჩა №№ 33, 35-40, 42, 44-47, 49-53, 55, 56, 59, 60, 66, 70, 73 სამარხები (სულ 24 სამარხი). აღნიშნული სამარხებიდან №№ 46, 66 და 70 სამარხების მხოლოდ ქვაყრილების სამხრეთი ნაწილი მოექცა ენერგოკორიდორში, სამარხი კამერები კი ენერგოკორიდორის გარეთ მდებარეობს. №№ 37, 39 და 40 სამარხები ენერგოკორიდორის ზონაშია გამოვლენილი, მაგრამ მათ „ტოპ-სოილი“ აყრია, რის გამოც მათი გათხრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ამდენად, სამაროვანზე გასათხრელია 21 სამარხი, რომელთაგან მხოლოდ 18 -ზე შეიძლება სამუშაოების ჩატარება.

თავდაპირველი გეგმა მესამე ეტაპის სამუშაობის ჩატარებასაც ითვალისწინებდა [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 6]. ამ ეტაპზე ჩვენ ვგულისხმობდით ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული გზის (KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის) ქვეშ მოქცეული სამარხების შესწავლას.

ამ მონაკვეთის და №№ 37, 39, 40 სამარხების შესწავლა ნავთობისა და გაზის მიღების თხრილებში ჩადების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

გასარკვევია KP 118+700-დან KP 119+090-მდე დაზიანებული სამარხების შემდგომი ბედი.

ექსპედიცია მაქსიმალურად შეეცდება KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეული მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლებას.

ამ მონაკვეთზე საამშენებლო სამუშაოების წარმოება მხოლოდ ენერგოკორიდირში გამოვლენილი ყველა სამარხის გათხრის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

### **რეკომენდაცია BP-ის**

1. სასურველია KP 118+700-სა KP 119+090-ს შორის მოქცეულ მონაკვეთებში გამოვლენილი სამარხების შესწავლა.
2. საფარ-ხარაბას სამაროვანზე მომდევნო ეტაპის სამუშაოების მიმდინარეობისას ტექნიკური სირთულეების წარმოქნის შემთხვევაში ექსპედიციისათვის დახმარების გაწევა.
3. გასათვალისწინებელია მესამე ეტაპის სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობაც.

## 12 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ჩატარებული სამუშაოები

### შესავალი

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია საველე სამუშაოებს საფარ-ხარაბას სამაროვანზე (KP 119+550-სა და KP 120+500-ს შორის) აგრძელებდა.

სამუშაოები სამ ეტაპად იყო დაგეგმილი (იხ. 2005 წლის ანგარიშები):

**პირველ ეტაპზე** სამუშაოები სამ უბანზე (I უბანი - KP 119+750-დან KP 120+150-მდე; II უბანი - KP 120+150-სა KP 120+350-ს შორის; III უბანი KP 120+350-დან KP 120+500-მდე) ერთდღოულად წარიმართა.

**პირველ ეტაპზე**, რომელიც 21 დღეს გრძელდებოდა სამივე უბანზე მოხდა ქვაყრილების გასუფთავება. მოისინჯა ის ადგილებიც, სადაც სამარხების გამოჩენა იყო მოსალოდნელი. 2005 წლის 25-28 მარტს [იხ. გ.ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 25-28 მარტს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. გვ. 4] და ა.წ. 1-25 ივნისს [იხ. გ.ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 2] ჩატარებული სამუშაოების შედეგად ენერგოკორიდორში 52 ქვაყრილი დაფიქსირდა (№№ 33-84).

პირველი ეტაპის სამუშაობისას გამოვლინდა კიდევ 6 სამარხი (№№ 85-90). სულ გამოვლენილი იქნა 58 სამარხი (№№ 33-90). 58-ვე ქვაყრილს ჩაუტარდა პრეპარაცია. სამარხები მომზადდა გასახსნელად. მოხდა მათი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია. შედგა გენგება.

**მეორე ეტაპზე** გათვალისწინებული იყო ყველა სამარხის გათხრა. თავდაპირველი გეგმის მიხედვით [იხ. გ.ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში, გვ.6-7] სამუშაოებისათვის სავარაუდოდ ოთხი კვირა (28 სამუშაო დღე) განისაზღვრა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული გეგმა გათვლილი იყო წინასწარულ მონაცემებზე, რომლის მიხედვითაც გასათხრელი იყო 52 სამარხი. ამ რაოდენობას შემდეგ 12 სამარხი დაემატა. ამდენად გასათხრელი სამარხების საერთო რაოდენობამ 63-ს მიაღწია.

2005 წლის 11 აგვისტოსათვის გათხრილი იყო 39 სამარხი. გასათხრელი 24 სამარხი. აღსანიშნავია, რომ №№ 46, 66 და 70 სამარხების ქვაყრილების

მხოლოდ სამხრეთი ნაწილი მოქმედი ენერგოკორიდორში, ხოლო მათი დასაკრძალავი კამერები კი ენერგოკორიდორის გარეთ მდგბარეობს. №№ 37, 39 და 40 სამარხები კი ენერგოკორიდორის ზონაშია გამოვლენილი, მაგრამ მათ „ტოპ-სოილი“ მიწაზეინულად აყრია, რის გამოც მათი გათხრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ამდენად, სამაროვანზე გასათხრელი დარჩა 21 სამარხი, რომელთაგან მხოლოდ 18-ზე შეიძლებოდა სამუშაოების ჩატარება.

რამდენადაც მეორე ეტაპის სამუშაოების დასრულება განსაზღვრულ გადებში, ბუნებრივი პირობების და სამარხთა რაოდენობის გაზრდის გამო, გერ მოხერხდა BP-ისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის დაიდო ახალი კონტრაქტი, რომელიც ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებას ითვალისწინებდა.

თავდაპირველი გეგმა მესამე ეტაპის სამუშაოების ჩატარებასაც ითვალისწინებდა [იხ. გ.ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ.6]. ამ ეტაპზე ჩვენ ვგულისხმობდით ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული ტექნიკური გზის (KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის) ქვეშ მოქცეული სამარხების შესწავლას. ამ მონაკვეთისა და №№ 37, 39, 40 სამარხების შესწავლა ნავთობისა და გაზის მიღების ოხრილებში ჩადების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ექსპედიცია, №№ C-03-BTC-52923 HL-150, HL-155 და HL-163 ხელშეკრულებების საფუძველზე, მეორე ეტაპით გათვალისწინებულ სავალე სამუშაოებს 27 ივნისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით აწარმოებდა.

მეორე ეტაპის სამუშაოები სამი კონტრაქტის (№ C-03-BTC-52923 HL-150, HL-155 და HL-163) საფუძველზე მიმდინარეობდა. დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად კიდევ ორი კონტრაქტი დაიდო.

პირველი დამატებითი კონტრაქტის (№ C-03-BTC-52923 HL-169) მიხედვით სამუშაოები 13 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით (14 სამუშაო დღე) მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერმი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.
3. მურვანიძე ბიძინა – არქეოლოგი.
4. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
5. ქორქია ლიანა – არქეოლოგი.

6. მარგველაშვილი მაყვალა - არქეოლოგი.
7. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი.
8. მანჯგალაძე გიორგი – არქეოლოგი.
9. დუნდუა გიორგი – არქეოლოგი.
10. სტერუა ქეთევანი – არქეოლოგი.
11. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი.
12. ფხოველიშვილი გურანდა – ასისტენტი.
13. გიგუაშვილი ნელი – ასისტენტი.
14. პაჭიკაშვილი ნაზი – ასისტენტი.
15. ტურიაშვილი დარეჯანი – ასისტენტი.
16. ესაკია ვერა – ასისტენტი.
17. გიუნაშვილი გელა – ასისტენტი.
18. მანჯგალაძე გიორგი – ასისტენტი.
19. ჯორჯაძე მარინე – ასისტენტი.
20. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
21. ყაზახიშვილი თინათინი – არქიტექტორი.
22. ყვავაძე ელისო – პალინოლოგი.
23. ბითაძე ლია – ანთროპოლოგი.
24. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.
25. დლილგაშვილი ელგუჯა – მენეჯერი.
26. გიუნაშვილი გელა – მენეჯერი.
27. მამულაშვილი ნინო – მზარეული.
28. კვიციანი კესო – მზარეული.
29. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
30. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
31. მუსხიერი ალექსი – მძღოლი.
32. კახიანი კახა – მძღოლი.
33. დლილგაშვილი ელგუჯა – მძღოლი.
34. მაკრანგელოვი ბორისი – დარაჯი.

**მეორე დამატებითი კონტრაქტით (№ C-03-BTC-52923 HL-176)**

საფუძველზე სამუშაოები 29 აგვისტოდან 04 სექტემბრის ჩათვლით (7 სამუშაო დღე). საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.

3. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
4. მურვანიძე ბიძინა – არქეოლოგი.
5. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი.
6. გიუნაშვილი გელა – ასისტენტი.
7. მანჯგალაძე გიორგი – ასისტენტი.
8. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
9. ყვავაძე ელისო – პალინოლოგი.
10. კვიციანი კესო – მზარეული.
11. პარასკევოვა ლუბა – მზარეული.
12. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
13. ჯალაბაძე არჩილი – მძღოლი.
14. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.

## საფარ-ხარაბას სამაროვანი

მეორე ეტაპის სამუშაოები KP 119+750-სა და KP 120+500-სს შორის მოქცეულ მონაკვეთზე გამოვლენილი სამარხების შესწავლისა და ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლების მიზნით გაგრძელდა.

გათხრები ორ (I უბანზე (KP 119+750-დან KP 120+150-მდე) გამოვლენილი შესწავლა II ეტაპის სამუშაოების დროს დასრულდა) უბანზე მიმდინარეობდა:

II უბანზე (KP 120+150-სა და KP 120+350-ს შორის) გასათხრელი იყო 8 სამარხი (№№ 52, 53, 55, 56, 59, 60, 66, 70).

III უბანზე (KP 120+350-სა და KP 120+500-სს შორის) გასათხრელი დარჩა 16 (№№ 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51) სამარხი.

ამდენად, ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში დამატებითი კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე გამოვლენილი იყო 63 სამარხი, რომელთაგან გათხრილია 39, გასათხრელი დარჩა 24 სამარხი.

2005 წლის 10 აგვისტოს II უბანზე კიდევ ორი სამარხი (№№ 96, 97) დაფიქსირდა. II ეტაპის დასასრულებლად დადებული ახალი კონტაქტებით წარმოებული სამუშაოების დროს კი კიდევ 13 სამარხი (№№ 98-110) გამოვლინდა.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე დღეისათვის გამოვლენილი ყველა სამარხი ქვაყრილიან ორმოსამარხს წარმოადგენს.

სამარხი კამერების თავზე წრიული ქვაყრილებია გამართული, რომელთა დიამეტრი 4-12 მ-ს უდრის. ქვაყრილები უმეტეს შემთხვევაში რიყის წვრილი ქვებითაა შედგენილი და ბაზალტის დიდი ქვებით გამართული კრომლეხების შიდა სივრცეს მთლიანად ფარავს. კრომლეხთა ერთ ნაწილს მხოლოდ სამარხი კამერის თავზე აქვს წვრილი ქვების ყრილი.

სამარხი კამერები ხის ძელებით, ან ქვის ფილებითაა გადახურული.

კრომლეხთა აბსოლიტური უმრავლესობის ცენტრში ერთი სამარხი კამერაა გამართული, რომელშიც ერთი მიცვალებულია ჩასვენებული. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ხელ-ფეხი მოკეცილი აქვთ. ჩონჩხები ცუდადაა დაცული.

სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. თითოეულ მიცვალებულს 1-4 ჭურჭლი აქვს ჩატანებული. მცირე რაოდენობით

გვხვდება სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები. ლითონის ინგენირი თუ სამარხში (№ 56, 73) დაფიქსირდა.

საანგარიშო პერიოდში გათხრილ სამარხებში დაკრძალვის იგივე წესი დაფიქსირდა, რაც ადრე შესწავლილებში. მიცვალებულთა ჩონჩხები შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული, რომელიც ჩონჩხების ქვეშაც ფიქსირდება. შავი ფერი სამარხი კამერის კედლებისაგან ყვითელი ფერის გრუნტითაა გამოყოფილი. ხშირ შემთხვევაში ასეთი ფერია წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობისაა და სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა. წინასწარული მონაცემით შავი ფერი ტყავის, ჭილობისა და ქსოვილის ნარჩენებისაგან შედგება.

ამდენად, ექსპედიციის მიერ საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2005 წელს გამოვლინდა 93 სამარხი, რომელთაგან გაითხარა 83.

გადაღებულია 700 ფერადი კადრი, 350 სლაიდი, 5000 ციფრული კადრი, და ვიდეომასალა – 360 წუთი); შევსებულია სამაროვნის და მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგეგმა, შედგენილია სამაროვნის გენგეგმა, სამივე უბნის გეგმა – შესაბამისი ჭრილებით. შესრულებულია სამარხების გეგმები და ჭრილები; მოპოვებულია თიხის 200-მდე ჭურჭელი, ობსიდიანის 100-ზე მეტი იარაღი, კაუისა და ობსიდიანის 42 ისრისპირი, ბრინჯაოს სატევარი და საკინძები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები; პალინოლოგიური ანალიზისათვის აღებულია 870 ნიმუში; ანთროპოლოგიური და პალეონოლოგიური კვლევისათვის შეგროვებულია მასალები.

კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოები შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

## BP-ს გაეგზავნა შემდეგი დასკვნა

1. მეორე ეტაპზე ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში მოქცეული ყველა ის სამარხი გათხარა, რომელთა შესწავლაც კონტრაქტებით იყო გათვალისწინებული.
2. ენერგოკორიდორის ფარგლებში მოექცა სამარხთა ნაწილი. მაგ №№ 46, 66 და 70 სამარხების მხოლოდ ქვაყრილების სამხრეთი ნაწილი მოექცა ენერგოკორიდორში, სამარხი კამერები კი ენერგოკორიდორის გარეთ მდებარეობს. №№ 37, 39, 40, 111-114 სამარხები

ენერგოკორიდორის ზონაშია გამოვლენილი, მაგრამ მათ „ტოპ-სოილი“ აყრია, რის გამოც მათი გათხრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

3. ამდენად, ენერგოკორიდორის იმ მონაკვეთზე, სადაც საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები გასათხრელი დარჩა 10 სამარხი.
4. გასათხრელია გაზის ჩამკეტი სადგურის მიღამოებში წარმოებული სამშენებლო სამუშაობისას ახლად გამოვლენილი სამარხები.
5. თავდაპირველი გეგმა მესამე ეტაპის სამუშაობის ჩატარებასაც ითვალისწინებდა [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 6]. ამ ეტაპზე ჩვენ ვგულისხმობდით ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული გზის (KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის) ქვეშ მოქცეული სამარხების შესწავლას.
6. გზის მონაკვეთის და №№ 37, 39, 40, 46, 66, 70, 111-114 სამარხების შესწავლა ნავთობისა და გაზის მიღების თხრილებში ჩადების შემდეგ იქნება შესაძლებელი.
7. გასარკვევია KP 118+700-დან KP 119+090-მდე დაზიანებული სამარხების შემდგომი ბედი.
8. ენერგოკორიდორის KP 119+750 – KP 120+500 მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია.

### რეკომენდაცია BP-ის

1. აუცილებელია გაზის ჩამკეტი სადგურის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამარხების გათხრა.
2. სასურველია KP 118+700-სა KP 119+090-ს შორის მოქცეულ მონაკვეთებში გამოვლენილი სამარხების შესწავლა.
3. გასათვალისწინებელია მესამე ეტაპის სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობაც.
4. შესაძლებელია ლაბორატორიული სამუშაოების დაწყება.

## 2005 წლის 3-16 დეკემბერს ჩატარებული სამუშაოები

### შესავალი

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია საველე სამუშაოებს საფარ-ხარაბას სამართვაზე აგრძელებდა.

სამართვანი ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის 120-კილომეტრზე მდებარეობს (სურ. 7). 2003-2005 წლებში ენერგოკორის ფარგლებში მოქცეული სამარხების დიდი ნაწილი გაითხარა [იხ.: გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში; გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 2004 წელს; გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 25-28 მარტს ჩატარებული მუშაობის ანგარიში; გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში; გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის 12 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ჩატარებული მუშაობის ანგარიში].

საველე სამუშაოები გაზის ჩამკეტი სადგურის მშენებლობის დროს გამოვლენილი სამარხების გათხრას ითვალისწინებდა.

გაზის ჩამკეტის ტერიტორიაზე სამარხები 2005 წლის აგვისტოში გამოვლინდა. სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანდა სამარხთა ქვაყრილები (დაახლოებით 9 სამარხი). მოთხოვილ ფართობზე შეინიშნებოდა ორი ორმოსამარხის კვალი, რომელთა კამერები იმდენად იყო დაზიანებული, რომ თიხის ჭურჭლები მიწის ზედაპირზე ეყარა. სამარხთა ქვაყრილები შეინიშნებოდა სამართვის დაზიანებული მონაკვეთის აღმოსავლეთისაკენაც.

ამდენად დაზიანებული ფართობი 100 კვ. მეტრზე მეტია, დაუზიანებელი ნაწილი კი 300 კვ. მეტრამდეა.

ტერიტორია BP-ის წარმომადგენლებთან (ქ-ნი პოუპ ლეინინგერი, ბ-ნი ვახტანგ შატბერაშვილი) შემოიღობა სპეციალური ბაბთით, გამოვლენილი სამარხები მოინიშნა დროშებით. მშენებლებთან კონსულტაციის დროს აღინიშნა და შევთახმდით, რომ ამ მიმართულებით სამშენებლო სამუშაოები

არ გაგრძელდებოდა. ამდენად ამ მონაკვეთის არქეოლოგიური შესწავლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ხოლო გამოვლენილი სამარხები მომალ წელს გაითხრებოდა.

19 ნოემბერს BP-ის არქეოლოგიური სამსახურის ოფიცერმა ი.დემეტრაძემ ჩამკეტი სადგურის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ გვაცნობა. ექსპედიციის თანამშრომელი ბ.მურვანიძე გაემგზავრა და ზაფხულში გამოვლენილი სამარხების ხელახალი დაზიანება დააფიქსირა.

ამდენად, მშენებარე კომპანიამ დაარღვია პირობა და ა.წ. ნოემბერში აღნიშნულ ტერიტორიაზე ისე განაახლა სამუშაობი, რომ ჩვენთვის არ შეუტყობინებია. გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩამკეტი სადგურებისათვის გამოიყო უფრო დიდი ტერიტორია, ვიდრე ადრე იყო გაცხადებული. ამ ტერიტორიაზე აკც-ს სათანადო დასკვნა არ გაუცია. ყოველივე ზემოთქმული მიუთებს იმაზე, რომ სამშენებლო ზონაში მოექცა საფარ-სარაბას სამაროვნის დიდი უბანი, რომელიც რამდენიმე ათას მეტრს მოიცავს. ამდენად, KP-120-ის მიდამოებში გამოვლენილი სამარხების და იმ მიმდებარე ტერიტორიის, რომელიც მშენებლობის ზონაში მოექცა, არქეოლოგიური გათხრების დაგეგმვისათვის აუცილებელია სპეციალური შეხვედრის მოწყობა.

რაც შეეხება ჩამკეტი სადგურის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამარხების შეწავლას, მიმაჩნდა, რომ მათი გათხრა წლის უფრო ხელსაყრელ დროს უნდა განხორციელებულიყო. იმის გამო, რომ წალკის რაიონში ნოემბერ-დეკემბერში მკაცრი კლიმატური პირობებია, საველ სამუშაოების ჩატარება მეტად რთულია, თუ შეუძლებელი არ არის. შექმნილმა სიტუაციამ დაზიანებული სამარხების სასწრაფო გათხრა მოითხოვა.

სამუშაოებისათვის სავარაუდოდ ორი კვირა (14 სამუშაო დღე) განისაზღვრა.

**პირველი კონტრაქტის** (№ C-03-BTC-52923 HL-191) მიხედვით სამუშაოები 3 დეკემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით (7 სამუშაო დღე) მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერმი – ხელმძღვანელი.
2. ყიფიანი გურამი - არქეოლოგი.
3. მურვანიძე ბიძინა – ასისტენტი.
4. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
5. თევზაბე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.

6. პვიციანი კესო – მზარეული.
7. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
8. ჯალაბაძე არჩილი – მძღოლი.
9. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.

მეორე კონტრაქტის (№ C-03-BTC-52923 HL-195) საფუძველზე სამუშაოები 10 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით (7 სამუშაო დღე) მიმდინარეობდა. საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. ამირანაშვილი ჯუანშერი – მოადგილე, არქეოლოგი.
3. ყიფიანი გურამი – არქეოლოგი.
4. მურვანიძე ბიძინა – ასისტენტი.
5. გიუნაშვილი გელა – ასისტენტი.
6. ტატიშვილი გოორგი – არქიტექტორი.
7. პვიციანი კესო – მზარეული.
8. ნარიმანიშვილი რევაზი – მძღოლი.
9. ჯალაბაძე არჩილი – მძღოლი.
10. მავრანგელოვი ბორისი – დარაჯი.

## საფარ-ხარაბას სამაროვანი

პირველი ეტაპის სამუშაოები ჩამკეტი სადგურის ჩრდილოეთით მდებარე მონაკვეთზე დაზიანებული სამარხების გამოვლენის მიზნით წარიმართა. მშენებლების მიერ მოთხრილი მიწის აღების შემდეგ 7 სამარხის (№№ 116-122) ქვაყრილი ან სამარხი კამერის კონტური დაფიქსირდა. ზაფხულში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი სამარხებიდან მხოლოდ ოთხი სამარხის მიკლევა გახდა შესაძლებელი. დანარჩენი 4 ან 5 სამარხი ნოემბერში ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს მშენებლებმა ისე გაანადგურეს, რომ მათი კვალიც კი არ დარჩა. გათხრებმა ასევე დაადასტურა, რომ სამი სამარხის (№№ 116-118) ქვაყრილები ნაწილობრივ იყო დაზიანებული. № 120 სამარხს ქვაყრილი მთლიანად ჰქონდა მოხსნილი. დაზიანებული იყო № 116 და № 118 სამარხების დასაკრძალავი კამერებიც (სურ. 16, 22).

**მეორე ეტაპის** სამუშაოები გამოვლენილი სამარხების შესწავლისა და ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლების მიზნით ჩატარდა.

გამოვლენილი სამარხები დეტალურად გაიწმინდა, შესრულდა გრაფიკული და ფოტოფიქსაცია (სურ. 37-40, 46). პალინოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევისათვის აღებულ იქნა საანალიზო მასალები.

სამარხები საფარ-ხარაბას ვრცელ სამაროვნს მიეკუთვნება, რომლის ერთი ნაწილი ენერგოკორიდორის მშენებლობის ზონაშია მოქცეული. აქ გამოვლენილი სამარხების დიდი ნაწილი ექსპედიციამ 2003-2005 წწ გათხარა. დღეისათვის სამაროვანზე 122 სამარხია დაფიქსირებული (დანომრილი არ არის ნავთობისა და გაზის მილებს შორის მოქცეული ორ ათეულამდე გაუთხრელი სამარხი), რომელთაგან 112 უკვე გათხრილია.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე დღეისათვის გამოვლენილი ყველა სამარხი ქვაყრილიან ორმოსამარხს წარმოადგენს.

სამარხი კამერების თავზე წრიული ქვაყრილები ყოფილა გამართული, რომელთა დიამეტრი 4-6 მ-ს უდრის. ქვაყრილები უმეტეს შემთხვევაში რიყის წვრილი ქვებითაა შედგენილი და ბაზალტის დიდი ქვებით გამართული კრომლეხების შიდა სივრცეს მთლიანად ფარავს. კრომლეხთა ერთ ნაწილს მხოლოდ სამარხი კამერის თავზე აქვს წვრილი ქვების ყრილი. სამარხი კამერები ხის ძელებით, ან ქის ფილებით ყოფილა გადახურული.

კრომლეხთა აბსოლუტური უმრავლესობის ცენტრში ერთი სამარხი კამერაა გამართული, რომელშიც ერთი მიცვალებულია ჩასვენებული. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ხელ-ფეხი მოკეცილი აქვთ. ჩონჩხები ცუდადად დაცული.

სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. თითოეულ მიცვალებულს 4-5 ჭურჭლი აქვს ჩატანებული. მცირე რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები. ლითონის ინვენტარი ერთ სამარხში (№ 119) დაფიქსირდა.

2005 წლის დეკემბერში გათხრილი სამარხები წინასწარულად ძვ.წ. XV-XIV სს თარიღდება.

გადაღებულია 200 ფერადი კადრი, 400 ციფრული კადრი, და ვიდეომასალა (3 ფირი); შევსებულია სამაროვნის და მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგეგმა, შედგენილია სამაროვნის გენგეგმა, შესრულებულია სამარხების გეგმები და ჭრილები; მოპოვებულია თიხის 30-მდე ჭურჭლი, ობსიდიანის იარაღები; პალინოლოგიური ანალიზისათვის აღებულია 90 ნიმუში; ანთროპოლოგიური და პალეოზოოლოგიური კვლევისათვის შეგროვებულია მასალები.

კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოები შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

სავალე სამუშაოების დაწყებისთანავე დაფიქსირდა, რომ ჩამკეტი სადგურის ჩრდილოეთით, 100-130 მ-ის დაშორებით, მშენებლებს მოწყობილი აქვთ მიწის დასაწყობების ორი მოედანი. ორივე მოედანი სამაროვნის ტერიტორიაზეა განთავსებული. ტერმინალის ტერიტორიაზე მშენებლებს მძიმე ტექნიკით მოხსნილი აქვთ მიწის ზედაპირი („ტოპ-სოილი“).

მიწის ამ ფართობის გამოყოფის შესახებ აკც-ს შებამისი დასტვნა არ გაუცია. შეუთანხმებელი მოქმედების გამო მშენებლებმა არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორია გამოიყენეს, რამაც სამარხთა ყრილების დაზიანება გამოიწვია.

ტერმინალის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი 4 000 კვ.მ. მეტია, მიწის დიდი მასაა დასაწყობებული. ამდენად, ძეგლის დაზიანების მასშტაბის დადგენა ჭირს. იმ მცირე ფართობზე (500 კვ.მ.) კი, სადაც მიწა არ ყრია ათამდე სამარხის ქვაყრილია გაშიშვლებული, ან დაზიანებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერმინალი სამაროვნის ყველაზე ინტენსიურად

ათვისებულ მონაკვეთზეა მოწყობილი, მშენებლების მიერ უფრო მეტი სამარხის დაზიანება უნდა ვიგულისხმოთ.

### **BP-ს გაეგზავნა შემდეგი დასკვნა**

1. ენერგოკორიდორის გაზსადენის ჩამკეტი სადგურის მონაკვეთში მოქცეული ყველა ის სამარხი გაითხარა, რომელთა შესწავლაც კონტრაქტებით იყო გათვალისწინებული.
2. ჩამკეტი სადგურისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასათხრელი დარჩა სამარხთა ნაწილი (**დაახლ. 1500 კვ.მ. ფართობზე**).
3. გასათხრელია გაზის ჩამკეტი სადგურის ჩრდილოეთით, მიწის დასაწყობებისათვის ათვისებულ ფართობზე „ტოპ სოილის“ მოხსნისას გამოვლენილი სამარხები.
4. გასათხრელია ნაგობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული გზის (KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის) ქვეშ მოქცეული სამარხები [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 6].

### **რეკომენდაცია BP-ის**

1. ენერგოკორიდორის გაზსადენის ჩამკეტი სადგურის იმ მონაკვეთში, სადაც სამარხები გაითხარა (იხ. ტოპოგეგმა), შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.
2. ჩამკეტი სადგურისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასათხრელი დარჩა სამარხთა ნაწილი (**დაახლ. 1500 კვ.მ. ფართობზე**), სადაც სამშენებლო სამუშაოების დაწყება მხოლოდ არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.
3. გასათხრელია გაზის ჩამკეტი სადგურის ჩრდილოეთით, მიწის დასაწყობებისათვის ათვისებულ ფართობზე „ტოპ სოილის“ მოხსნისას გამოვლენილი სამარხები.
4. გასათხრელია ნაგობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული გზის (KP 120+250-სა და KP 120+500-სს შორის) ქვეშ მოქცეული სამარხები [იხ. გ. ნარიმანიშვილი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური

ექსპედიციის მიერ 2005 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. გვ. 6].

5. შესაძლებელია ლაბორატორიული სამუშაოების დაწყება.

**დ ა ს პ 8 6 ა**

ამდენად, 2005 წელს საფარ-ხარაბას 90 სამარხი გამოვლინდა, რომელთაგან გაითხარა 80. ათი სამარხი ენერგოკორიდორის უკიდურეს ჩრდილოეთი ნაწილში მდგბარეობს და ნაწილობრივ მოექცა სამშენებლო ტერიტორიაზე. სამარხთა ქვაყრილების გასუფთავების შემდეგ გაირკვა, რომ სამარხი კამერები გაუთხრელ ფართომში შედიოდა, ამიტომ ისინი დაკონსერვდა.

სამარხი კამერები გაჭრილია ყვით და თიხნარში. მათ წაგრძელებული ოთხეუთხედის ფორმა აქვთ. თითო სამარხში ძირითადად ერთი მიცვალებულია დაკრძალული. გამონაკლისია № 68 სამარხი, სადაც ოთხი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. სამარხეული მასალა უმეტესად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი, ზოგიერთ სამარხში მძილ-სამკაული აღმოცნდა.


სამარხი კამერები დაფარულია წრიული ქვაყრილით, რომელთა ქვეშ ხის ძელების ან ქვის ფილებით შედგენილი სახურევაბია გამართული. კრომლეხებთშან, უშუალოდ ჩრდილოეთის მხრიდან გამართულია სარიტუალო ორმოები, რომლებშიც მხოლოდ თიხის ჭურჭლები ეწყო.

2005 წელს და წინა წლებში აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით სამაროვანი ძვ.წ. XV-XIV სს თარიღდება.


## სურათების აღწერილობა

- სურ. 1. ენერგოდერეფანი, წალკის რაიონის მონაკვეთი.
- სურ. 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი.
- სურ. 3. საფარ-ხარაბას სამაროვანი, ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორდანი.
- სურ. 4. საფარ-ხარაბას სამაროვნის გეგმა, 2003 წ.
- სურ. 5. საფარ-ხარაბას სამაროვნის გეგმა, 2005 წ.
- სურ. 6. გენგეგმა, სამაროვნის აღმოსავლეთი ნაწილი.
- სურ. 7. საფარ-ხარაბას სამაროვნის გენგეგმა, 2005 წ.
- სურ. 8. საფარ-ხარაბას სამაროვანი. ხედი დასავლეთიდან.
- სურ. 9. საფარ-ხარაბას სამაროვანი. გათხრის პროცესი.
- სურ. 10. საფარ-ხარაბას სამაროვანი, უბანი C, საერთო ხედი.
- სურ. 11. საფარ-ხარაბას სამაროვანი. გათხრის პროცესი.
- სურ. 12. საფარ-ხარაბას სამაროვანი. გათხრის პროცესი.
- სურ. 13. საფარ-ხარაბას სამაროვანი, კრომლეხები.
- სურ. 14. სამარხი № 75, კრომლეხი და ქვების წყობა.
- სურ. 15. სამარხი № 63.
- სურ. 16. უბანი C, სამარხების განლაგება.
- სურ. 17. სამარხი № 62.
- სურ. 18. სამარხები № 50, 51.
- სურ. 19. სამარხი № 50.
- სურ. 20. სამარხი № 56.
- სურ. 21. სამარხი № 50. დასაკრძალავი ორმო.
- სურ. 22. სამარხი № 116, ჭრილი.
- სურ. 23. სამარხი № 68, გადახურვის ძელების ნაშთი.
- სურ. 24. სამარხი № 68, გადახურვის ძელების ნაშთი.
- სურ. 25. სამარხი № 50, ლაქა I დონე.
- სურ. 26. სამარხი № 44, გათხრის პროცესი.
- სურ. 27. სამარხი № 110, გათხრის პროცესი.
- სურ. 28. სამარხი № 56, გათხრის პროცესი, III დონე.
- სურ. 29. სამარხი № 52, გათხრის პროცესი, III დონე.
- სურ. 30. სამარხი № 45, გათხრის პროცესი.
- სურ. 31. სამარხი № 56, გათხრის პროცესი.
- სურ. 32. სამარხი № 51, ლაქების გავრცელება.
- სურ. 33. სამარხი № 51, ლაქების გავრცელება.
- სურ. 34, 35. სამარხი № 110, ლაქა.
- სურ. 36. სამარხი № 50, ლაქების გავრცელება.
- სურ. 37. სამარხი № 117, გათხრის შემდეგ.
- სურ. 38. სამარხი № 120, გათხრის შემდეგ.
- სურ. 39. სამარხი № 120, თიხის ჭურჭლების განლაგება.
- სურ. 40. სამარხი № 116, თიხის ჭურჭლის განლაგება.
- სურ. 41. სამარხი № 45, პრეპარაციის შემდეგ.
- სურ. 42. სამარხი № 69, პრეპარაციის შემდეგ.
- სურ. 43. სამარხი № 78, გათხრის პროცესი.
- სურ. 44. სამარხები №№ 49, 51.
- სურ. 45. სამარხი № 110.
- სურ. 46. სამარხი № 122.
- სურ. 47. სამარხი № 55.
- სურ. 48. სამარხი № 72.
- სურ. 49. სამარხები №№ 67, 68. კრომლეხი.


- სურ. 50. სამარხები №№ 67, 68.
- სურ. 51. სამარხები №№ 67, 68 გათხრის შემდეგ.
- სურ. 52. სამარხი № 67 გათხრის შემდეგ.
- სურ. 53. სამარხი № 68 გათხრის შემდეგ.
- სურ. 54. სამარხი № 38, № 39-ის გასათხრელი ნაწილი.
- სურ. 55. სამარხი № 39, გათხრის პროცესი.
- სურ. 56. სამარხი № 39, ჭრილი.
- სურ. 57. სამარხი № 39, ჭრილი.
- სურ. 58, 59. სამარხი № 39, გათხრილი ნაწილი.
- სურ. 60, 61. სამარხი № 50, გათხრის პროცესი.
- სურ. 62. სამარხი № 50, ყრილი-ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 63. სამარხი № 50, ყრილი-ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 64. სამარხი № 50, გათხრის პროცესი.
- სურ. 65. სამარხი № 50, გათხრის პროცესი, I დონე.
- სურ. 66. სამარხი № 50, გრაფიკული ჩანახაზი, I დონე.
- სურ. 67, 68. სამარხი № 50. დასაკრძალვი ორმოს კონტური.
- სურ. 69. სამარხი № 50. ქვის ფილების ალაგების შემდეგ.
- სურ. 70. სამარხი № 50. გათხრის პროცესი.
- სურ. 71. სამარხი № 110. გადახურვის ძელის ანაბეჭდი
- სურ. 72. სამარხი №№ 50, 51. კრომლეხი, ხედი დასავლეთიდან.
- სურ. 73. სამარხი №№ 49, 51. ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 74. სამარხი №№ 49, 51. ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 75. სამარხი № 49.
- სურ. 76. სამარხი № 100.
- სურ. 77,78. სამარხი № 85. გათხრების დასაწყისი.
- სურ. 79. სამარხი № 85. გათხრის პროცესი.
- სურ. 80. სამარხი № 85. გათხრის პროცესი.
- სურ. 81. სამარხი № 85. გათხრის პროცესი.
- სურ. 82. სამარხი № 85. დეტალი.
- სურ. 83, 84. სამარხი № 85. დეტალი.
- სურ. 85, 86. სამარხი № 85. ბუნიკი.
- სურ. 87, 88. სამარხი № 85. დეტალები.
- სურ. 89. სამარხი № 85 პრეპარაციის შემდეგ.
- სურ. 90. სამარხი №№ 89, 90. ხედი აღმოსავლეთიდან.
- სურ. 91. სამარხი № 90. გათხრების დასაწყისი.
- სურ. 92. სამარხი № 90. გათხრების პროცესი.
- სურ. 93. სამარხი № 90. გათხრების პროცესი.
- სურ. 94. სამარხი № 90. გათხრის პროცესი.
- სურ. 95. სამარხი № 90. დეტალი.
- სურ. 96,97. სამარხი № 90. გათხრების პროცესი.
- სურ. 98. სამარხი № 90. სარეცლის ნაშთი.
- სურ. 99. სამარხი № 90 პრეპარაციის შემდეგ.
- სურ. 100. სამარხი № 50. გრაფიკული ჩანახატი.
- სურ. 101. სამარხი № 85. გეგმა და ჭრილი.
- სურ. 102. სამარხი № 90. გეგმა და ჭრილი.




Կար. 1.




სურ. 2.



სურ. 3.



სურ. 4




სურ. 5.

]

სურ. 6.

სურ. 6

საფარხარაბა



სეკ. 7



სურ. 8.



სურ. 9.



სურ. 10.



სურ. 11.



სურ. 12.



სურ. 13.



სურ. 14.



სურ. 15.



სურ. 16.



სურ. 17.



სურ. 18.



სურ. 19.



სურ. 20.



სურ. 21.



სურ. 22.



სურ. 23.



სურ. 24.



სურ. 25.



სურ. 26.



სურ. 27.



სურ. 28.



სურ. 29.



სურ. 30.



სურ. 31.



լոյն. 32.



სურ. 33.



სურ. 34.



სურ. 35.



სურ. 36.



სურ. 37.



სეგრ. 38.



სურ. 39.



სურ. 40.



სურ. 41.



სურ. 42.



სურ. 43.



სურ. 44.



სურ. 45.



სურ. 46.



სურ. 47.



სურ. 48.



სურ. 49.



სურ. 50.



სურ. 51.



სურ. 52.



სურ. 53.



სურ. 54.



სურ. 55.



სურ. 56.



სურ. 57.



სურ. 58.



სურ. 59.



სურ. 60.



სურ. 61.



სურ. 62.




სურ. 63.



სურ. 64.



სურ. 65.



სურ. 66.



სურ. 67.



სურ. 68.



სურ. 69.



სურ. 70.



სურ. 71.




სურ. 72.



სურ. 73.



სურ. 74.



სურ. 75.



სურ. 76.



სურ. 77.



სურ. 78.



სურ. 79.



სერ. 80.



სურ. 81.



სურ. 82.



სურ. 83.



სურ. 84.



სურ. 85.



სურ. 86.



სურ. 87.



სურ. 88.



სურ. 89.



სურ. 90.



სურ. 91.



სურ. 92.



სურ. 93.



სერ. 94.



სურ. 95.



სურ. 96.



სურ. 97.



სურ. 98.




სურ. 99.




სერ. 100.

Krebs schrumpft auf 97% 5.07.05



სურ. 101.

— ուսուցանակ ամ. 1/23 դրամ 3.08.2005  
Տարե ԿՊ - 119. Եղանակ N 40 Ճ. 1:20



Խյթ. 102.

## აი-ილიას ნამოსახლარზე 2004-05 წლებში ჩატარებული სამუშაოები

აი-ილიას მთის თხემის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში (სურ. 114) დიდი არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს .

იგი 1990 წელს იქნა მიკვლეული წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ამ კომპლექსმა თავიდანვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება, მაგრამ უსახსრობის გამო მისი შესწავლის დაწყება ვერ მოხერხდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, 2002 წლის სექტემბერში აი-ილიას ნამოსახლარზე, ენერგოკორიდორის ზონაში ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების დროს ექსპედიციამ გაავლო VIII თხრილი.

ეს არის ერთადერთი თხრილი, რომელიც ექსპედიციამ 2002-2004 წლებში წარმოებული საველე სამუშაოების დროს ენერგოკორიდორის გარეთ გაავლო. თხრილი კომპლექსის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იქნა გავლებული. ჩვენს მიზანს ერთ-ერთი სათავსოს კედლის წყობის ხასიათის, კულტურული ფენების სიმძლავრის და იატაკის დაფიქსირება წარმოადგენდა.

არქიტექტურული კომპლექსი მოიცავს XXVIII, XXIX, XXXVIII, XXXIX, XLVIII, XLIX, LVIII და LIX ნაკვეთებს. მისი სავარაუდო სიგრძე 70 მეტრამდეა, სიგანე 25 მ-ს უდრის. ნაგებობის მთლიანი ფართობი 1700-1800 კვ.მ-ს უდრის. კომპლექსი 15 სათავსოს შეიცავს (სათავსოთა რაოდენობა მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების შედეგადაა გარკვეული), რომელთაგან 8 კარგადაა შემორჩენილი, 7 კი ძლიერაა დაზიანებული.

კომპლექსი წინასწარ შემუშავებული, ერთიანი გეგმის მიხედვით არის აგებული. მას ოთხივე მხრიდან მასიური, 4-5 მ სისქის კედლები საზღვრავს სათავსოთა გამყოფი ტიხრების სისქე კი 2-3 მ-ია.

კომპლექსის შესწავლა ახლა იწყება, ამიტომ მისი ფუნქციის შესახებ რაიმეს თქმა მნელია. თუმცა განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი გამორჩეული მასშტაბი და გეგმარების რეგულარული ხასიათი.

კომპლექსის უნიკალურობას გეგმარებასთან ერთად, მისი კედლების მასშტაბიც განსაზღვრავს. როგორც ჩანს, ასეთი მასიური კედლები არა მხოლოდ ნაგებობის თავისებურების გამოა აგებული, არამედ მათ აშკარად გააჩნიათ თავდაცვის ფუნქციაც.

კომპლექსი სიგრძივ, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი. მიწის ზედაპირზე შეინიშნება წაგრძელებული ბურცობები, რომელთა შორის მოქცეული

ფართობებში აშკარა ჩავარდნები აღინიშნება. ეს შემაღლებები თავიდანვე ნაგებობის კედლების ნაშთად იქნა მიჩნეული. ამიტომ VIII თხრილი ისე იქნა გავლებული, რომ შემაღლება-ჩავარდნის ხასიათი-სტრუქტურაც გარკვეულიყო. ვარაუდი დადასტურდა - გაირკვა, რომ შემაღლებები კომპლექსის კედლებს ემთხვევა, ხოლო ჩავარდნები სათავსოთა შიდა სივრცეს წარმოადგენს.

VIII თხრილში გამოვლენილი კედლები სრულიად განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი „ციკლოპური“ ხასიათის მშენებლობის ტექნიკისაგან.

კედლები ბაზალტის დიდი ზომის ლოდებითაა ამოყვანილი. წყობა პერანგულია - კედლების ორივე პირი ნაწილობრივ დამუშავებული ქვითაა ამოყვანილი. ეს ცალპირა წყობები ჰორიზონტალურად დალაგებული ქვების რამდენიმე რიგისაგან (სურ. 118-123) შედგება (ალაგ-ალაგ შემორჩენილია 8-9 რიგი).

პერანგებს შორის არსებული სივრცე მეტად მცირე ზომის, ნამტვრევი ქვით და როგორც ჩანს ტალახითაა შევსებული. სწორედ ეს უკანასკნელი განასხვავებს აი-ილიას დიდი კომპლექსის მშენებლობის ტექნიკას თრიალეთის „ციკლოპური“ ნაგებობებისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი აბსოლუტურად მშრალი წყობითაა ნაგები.

აი-ილიაზე გამოვლენილი დიდი კომპლექსის კედლები ასევე განსხვავდება აქვე, აი-ილიას მთის წვერზე არსებული „ციკლოპური“ სიმაგრის თავდაცვითი კედლის მშენებლობის ტექნიკისაგან.

დიდი კომპლექსის თუნდაც ერთი სათავსოს სრული შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიოთ დიდი კომპლექსის თარიღი, მოვახ-დინოთ მისი სინქრონიზაცია „ციკლოპურ“ ნაგებობებობებთან.

ასევე შესაძლებელია პასუხი გაეცეს ერთ კითხვასაც: „ციკლოპური“ ნაგებობების განსხვავებული სამშენებლო ტექნიკა მათი სხვადასხვა ფუნქციითაა გამოწვეული თუ ქრონოლოგიური სხავაობით.

ამდენად აი-ილიას ნამოსახლარზე აღმოჩენილი კომპლექსის გათხრა მეტად მნიშვნელოვანია. მისი შესწავლით კავკასიის არქეოლოგიის წინაშე მდგარი მრავალი კარდინალური საკითხის გადაჭრა იქნება შესაძლებელი.

შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო გადაწყდა მხოლოდ ერთი სათავსოს გათხრა. გასათხრელად შეირჩა კომპლექსის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი სათავსო, რომელშიც 2002 წელს VIII თხრილი იყო გავლებული. სათავსოს გათხრები დაიწყო 2004 წელს და 2005 წელს გაგრძელდა.

## 2004 წელს ჩატარებული სამუშაოები

სათავსო (№ 1) მოცავს LVIII ნაკვეთის 4-12 კვადრატებს. მისი შიდა ფართობი 10 X 10 მ-ს უდრის (სურ. 103). მთელ ფართობზე მოხსნილი იქნა პუმუსური ფენა,

რომლის ქვეშაც კედლის ნანგრევები დაფიქსირდა (სურ. 120, 121, 127). ნანგრევი დიდი ზომის ბაზალტის ქვებისაგან შედგებოდა, რის გამოც სათავსოს გაწმენდის პროცესი მეტად შრომატევადი აღმოჩნდა. ამის გამო გაიწმინდა მხოლოდ სათავსოს ჩრდილოეთი ნაწილი (სურ. 119, 126-127). სრულად გამოვლინდა ჩრდილოეთი კედელი (სურ. 122, 124, 125), აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილები (სურ. 122, 123), დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი (სურ. 120, 121, 124-127) და სამხრეთი კედლის ცენტრალური ნაწილი. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის გასწვრივ, კედლებიდან 0,4-0,5 მ დაცილებით, ჩადგმულია ცერზე დაყენებული ბაზალტის ფილები. მათ წინ, სათავსოს შიდა სივრცისაკენ მიმართული, ბაზალტისავე ფილებით გამართულია „მერხი“ (სურ. 120, 122, 126, 128).

№ 1 სათავსოს ჩრდილოეთი ნაწილი მხოლოდ ამ „მერხების“ დონემდეა პრეპარირებული, ამიტომ მათი ზუსტი კონსტრუქციის დადგენა დღეისათვის ჭირს. ასევე არ არის დაფიქსირებული იატაკის დონე. „მერხები“ კედლის ნანგრევების ზედა დონის მოხნის შემდეგ დაფიქსირდა. სათავსოს დანარჩენ ფართობზე კედლის ნანგრევები უფრო ღრმად ვრცელდება, დაახლ. 0,4-0,5 მ სიღრმეზე, სადაც სავარაუდოდ იატაკი უნდა მდებარეობდეს.

გათხრის პროცესში, კედლის ნანგრევის დონეზე, ოთხი თიხის ჭურჭლის ნატეხი აღმოჩნდა. ერთი მათგანი (საინვ. № 580) კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, გამომწვარია მოყვითალო-მოვარდისფროდ. დანარჩენი ნატეხები (საინვ. № 576, 577, 579) განლექილი, მინარევებიანი თიხისაა და მოშავო მოყავისფროდაა გამომწვარი, ზედაპირზე შეინიშნება ოდნავი გაპრიალების კვალი. ერთი მათგანი (საინვ. № 576) ღრმა ჯამის თუ ბალის ნატეხს წარმოსადგენს.

ეს არტეფაქტები, წინასწარულად აღრეანტიკურ ხანას, ძვ.წ. VI-V სს უნდა მიეკუთვნოს, თუმცა სათავსოს დათარიღებისათვის ისინი არ გამოდგება, რადგან *in situ* მდგომარეობაში არ იმყოფებიან. დათარიღებისათვის უფრო სანდო ჩანს VIII თხრილში, „მერხზე“ აღმოჩენილი ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, რომელიც გვიანი ბრინჯაოს საწყის საუკუნეებს განეკუთვნება.

ქეგლის დათარიღება სათავსოს სრულ გათხრამდე შეუძლებელია.

## 2005 წელს ჩატარებული სამუშაოები

ექსპედიცია 2005 წელს ძირითად სამუშაოებს ბაქო-თბილისი-ჯერაბის ნაგორობსადენის 120-ე კილომეტრზე აწარმოებდა, სადაც საფარ-ხარაბას

სამაროვანი ითხებოდა. ნავთობის მიღების პიდროტესტირების გამო მშენებლობის ზონაში ყველანაირი სამუშაოები შეწერა.

შექმნილი ვითარებით ვისარგებლეთ და გადავწყვიტეთ საკუთარი ძალებით აი-ილიას ნამოსახლარის №1 სახლის გათხრა დაგვესრულებინა. სამუშაოები მიმდინარეობდა 26 ივნისიდან 6 ივლისამდე.

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს: გ. ნარიმანიშვილმა, ბ. მურვანიძემ, რ. დავლიანიძემ, გ. ტატიშვილმა, ა. თევზაძემ, მ. კვაჭაძემ, დ. ტურიაშვილმა, ვ. ესაკია, რ. ყ. ნარიმანიშვილმა, რ. რ. ნარიმანიშვილმა, დ. ნარიმანიშვილმა, 6. ნარიმანიშვილმა, 6. პაჭიკაშვილმა, 6. შანშაშვილმა, ქ. სტურუამ, 6. ქადაგიძემ, ოსუ-ს სტუდენტებმა: ს. პაპუაშვილმა, დ. ნარიმანიშვილმა და გ. ჩოჩიშვილმა.

პირველ რიგში კედლის ნანგრევებისაგან განთავისუფლდა სახლის ინტერიერი. დაიწყო სახლის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში დარჩენილი 0,2-0,4 მ. სისქის მიწის ფენის მოხსნა და შესასვლელი დიობის განთავისუფლება.

გაიწმინდა 2004 წელს დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებთან დაფიქსირებული ქვის ფილებით ნაგები მერხები, ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ, ასევე ქვის ფილებით გამართული ტახტი (?), ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლენილი ღუმელი, რომელიც ნაწილობრივ არის გაწმენდილი. სახლის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა არქეოლოგიური მასალა (სურ. 107, 108).

სახლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ქვის ლოდებით ამოყვანილი შესასვლელი (სურ. 106), რომელიც შენობის მთლიან ინტერიერთან ერთად საჭიროებს შემდგომ შესწავლას.

### დასკვნა

აი-ილიაზე ჩატარებულმა სამუშაომ გვიჩვენა, რომ მთის თხემი და ფერდობები ადამიანს მეზოლითიდან ჰქონია ათვისებული (გ. ნარიმანიშვილი, ზ. მახარაძე, ნ. შანშაშვილი. წალკის რაიონში 2002 წლის სექტემბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (II ეტაპი), თბ., 2003; გ. ნარიმანიშვილი. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2002 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასშარული ანგარიში. თბ., 2003; გ. ნარიმანიშვილი, რ. დავლიანიძე, გ. მინდიაშვილი. ზ. მახარაძე, მ. კვაჭაძე, ნ. შანშაშვილი, ლ. ჭელიძე, აი ილიას ნამოსახლარზე 2003 წ.

ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. თბ., 2004; გ. ნარიმანიშვილი. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. აი-ილიას ნამოსახლარზე 2004 წ. ჩატარებული კვლევა-ძიების ანგარიში. თბ., 2004). ქვის იარაღების შესანიშნავი კოლექცია მიუთითებს, რომ სადღაც ამ მიდამოებშივე უნდა ვეძიოთ სადგომის კვალი. ამის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ეს მასალები აი-ილიას მთის თხემის თითქმის ყველაზე მაღალ ადგილზეა აღმოჩენილი და მათი ჩამორეცხვა მხოლოდ აქვე, 30-40 მეტრში მდებარე აი-ილიას მთის წვერიდან ან ფერდობიდან შეიძლებოდა.

მნიშვნელოვანია მთის წვერზე არსებული, ძლიერ დაზიანებული „ციკლოპური“ სიმაგრე და მიღსადენის კორიდორის სამხრეთის 10-15 მეტრში მდებარე კომპლექსის ნანგრევები, რომლებიც ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან.

ობსიდიანის იარაღი, უმრავლეს შემთხვევაში, დამზადებულია მცირე და საშუალო ზომის ანატკეცებზე. მათი სამუშაო პირი გაფორმებულია წვრილი, ფხისმიმცემი და წვრილი ან მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუშით ზურგიდან და მუცლიდან, ურთიერთსაპირისპირო რეტუშით ორივე მხრიდან.

ყველაზე არქაულად აი-ილიას X თხრილის კოლექციაში, ზემოთ აღწერილ ორ ანატკეცთან ერთად, D უბნის XV ნაკვეთის მე-5-ე კვადრატში, 0,30-0,35 მ სიღრმეზე აღმოჩენილი კაჟის კომბინირებული დანარჩენი ქვის მასალა უფრო ახალგაზრდა ჩანს და ისინი აი-ილიას XXV თხრილის მასალებთან ერთად, წინასწარულად, შეიძლება გვიანმეზოლით-ადრენეოლითის პერიოდს მიეკუთვნოს.

ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ელი-ბაბას სამაროვანზე და №4 თხრილში აღმოჩენილი მასალების ძირითადი ნაწილიც.

ელი-ბაბაზე და აი-ილიაზე გამოვლენი მასალებს შორის უფრო ადრეული იერის მატარებელი ინგენტარიც დასტურდება, რაც ამ ძეგლების მნიშვნელობაზე და შემდგომი შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ აი-ილიას მთის თხემზე რამდენიმე ათეული თხრილი იქნა გავლებული, მათში გამოვლენილი უძველესი ფენის ხასიათის გარკვევა მაინც ვერ მოხერხდა. კერამიკა არ დადასტურდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც მთის ძირში იქნებოდა ჩამორეცხვილი, თუ დავუშვებთ, რომ ქვის მასალა ჩამორეცხილია.

ამდენად, თუ შემდგომში განახლდა საველე სამუშაოები, აუცილებელია მოიძებნოს ის ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იყო ჩვენს მიერ გავლებულ თხრილებში აღმოჩენილი მასალების ჩამორეცხვა.

თუმცა სხვაგვარადაც შეიძლება ავსნათ სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტების ერთად აღმოჩენის ფაქტი. არ არის გამორიცხული, რომ მასალის ძირითადი ნაწილი დიდად არ არის გადაადგილებული, ისინი ჩამორეცხვის შედეგად კი არ მოხვდნენ აღმოჩენის ადგილზე, არამედ ფენის არევა მოხდა ადგილის არაერთგზის მოხვნის შედეგად. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მასალის ნაწილი in situ მდგომარეობაშიც იყოს დაფიქსირებული. ამაზე უნდა მიუთითებდეს XXV თხრილში დადასტურებული

სიტუაცია, სადაც ბაზალტის ქვებით შედგენილი კედლის ქვეშ მხოლოდ ობსიდიანის იარაღები იქნა აღმოჩენილი. მოგვიანო ეპოქების თიხის ჭურჭლის ნატეხები კი მხოლოდ ყორის და დანარჩენი ფართობის პრეპარაციისას აღმოჩნდა.

დღევანდელი მონაცემების მიხედვით ასევე მნელია განისაზღვროს ყორეების აგების თარიღიც. თხრილებში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკა, შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ისინი აი-ილიას მთის წვერზე მდებარე „ციკლოპურ“ სიმაგრესა და დიდ საცხოვრებელი კომპლექსს უკავშირდება და მათი თანდროულია.

ჩვენს მიერ 2004 წლის ივნისში ჩატარებული სამუშაოების შედეგად დიდი კომპლექსის № 1 სათავსოს მხოლოდ მცირე ნაწილი გამოავლინა. გასათხრელი დარჩა სათავსოს მთელი შიდა პერიმეტრი იატაკის დონემდე, გამოსავლენია აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლები.

№1 სათავსოს კედლები კარგადაა შემორჩენილი. მათი დღეისათვის გამოვლენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,6 მ-ს უდრის. თუ გავითვალისწინებთ, რომ იატაკის დონემდე კიდევ 0,4-0,5 მ სისქის ფენაა დარჩენილი კედლების სიმაღლე სათავსოს სრული გათხრის შემდეგ კიდევ მოიმატებს.

მიუხედავად იმისა, რომ № 1 სათავსოს მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი აშკარად გამოიკვეთა ძეგლის მონუმენტური ხასიათი. განსაკუთრებულია დიდი კომპლექსის მდებარეობაც. როგორც აღვნიშნეთ იგი აი-ილიას მთის თხემის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, საიდანაც კარგად ჩანს წალკის ქვაბული, სამსარ-ჯავახეთის ქედების სისტემა, ზურტაკეტის და ბედენის პლატოების მაღალი წერტილები. აი-ილიას მთის წვერზე აგებულ „ციკლოპური“ სიმაგრეს განსაკუთრებით გამორჩეული მდებარეობა აქვს. სიმაგრიდან, გარდა უკვე ჩამოთვლილი პუნქტებისა, კარგად ჩანს მათ საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთით გაწოლილი თრიალეთის ქედი, რომელზეც შიდა ქართლთან დამაკავშირებელი გზები გადადის.

